Beijing 2008

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 185 (12 560) | 8 აგვისტო პარასკევი 2008 წელი | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პეკინში ქართული დროშა ფრიალებს

## ბრაზილიელებმა ჩვენი ჰიმნი დააგუგუნეს

თენგიზ გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ ნეფარიძე, ალექსანდრე კოტორაშვილი, გიორგი ჭანიშვილი პეკინიდან

7 აგვისტო, ალბათ, ყველაზე მეტად დატვირთული დღე იყო ოლიმპიურ პეკინში. ქვეყნის საჰაერო თუ სახმელეთო ჭიშკრებიდან, სწორედ ამ დღეს, თითქმის მთლიანად დასრულდა ოლიმპიადის მონაწილეებისა და სტუმრების შემოდინება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. რაკი თავყრილობა სრულად შედგა, დილიდანვე რიგრიგობით დაიწყო მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო ალმების ალმართვა ოლიმპიური სოფლის ინტერნაციონალური ბლოკის ტერიტორიის ცენტრში. ნახევარ-ნახევარი საათის შუალედით იმართებოდა საზეიმო ცერემონიები. საქართველო მოხვდა გვინეის, რუმინეთის, პოლონეთისა და სომალის ჯგუფში. წესისამებრ, ჯერ ოლიმპიურ ალამს ალმართავდნენ, შემდეგ, რიგრიგობით - ქვეყნებისას. ერთადერთი რუმინეთის დელეგაცია იყო, რომელმაც ომახიანად აუწყო ხმა თავისი ქვეყნის ჰიმნს. ჩვენ ახლოს ვისხედით ნატურალიზებულ ბრაზილიელ ქართველებთან **გეორთან** და **გიასთან** და გაგვაოცა მათმა აქტიურობამ. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს ბოლომდე ხმაშეწყობით აჰყვნენ და ტაშიც პირველებმა დასცხეს, როცა ჩვენი დროშა უკვე უმაღლეს ნიშნულზე, ფლაგშტოკზე შეჩერდა.

დელეგაციებს ესალმებოდა ოლიმპიური სოფლის მერი. შემდეგ იგი ცალკეული ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებს სცენაზე უხმობდა და სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემდა. ოლიმპიურ სოფელში საქართველოს წარმოადგენდა ჩვენი დელეგაციის მისიის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი **ლერი ხაბელოვი**, რომელმაც თავის მხრივ, ქართული ეროვნული სუვენირი გადასცა მასპინძლებს.




# 10 გუნდი?

იშლება თუ არა ბორჯომი

»»» 11

# ელიავა თითქმის თბილისის დინამოში

»»» 7

# რატომ არ ჩამოვიდა კუპერი?

ჰექტორ კუპერი დღეს თბილისში უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ ჩანს. თუ რატომ ყოვნდება ნაკრების მწვრთნელის ჩამოსვლა, გაგიკვირდებათ და, ამაზე ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს. ბოლოსლა შევიტყვეთ, რომ კუპერის ჩამოსვლის თარილი ხვალ დადგინდება. უელსთან 20 აგვისტოს ამხანაგურ მატჩამდე ბევრი არაფერი დარჩა, ნაკრებში გამოსაძახებელთა სია კი ჯერაც უცნობია...

# ესეც წილისყრა, მერე როგორი!

## ხერგიანი დრაგინით იწყებს

გუშინ, პეკინის დროით საღამოს 9 საათზე ძიუდოისტთა ტურნირის წილისყრა გაიმართა. ხვალიდან შვიდი დღის განმავლობაში, პეკინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის გიმნაზიუმი ძიუდოს ელიტას უმასპინძლებს. ქართველი ძიუდოისტები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, როცა მათი მეტოქეების ვინაობა გაირკვა. ასე რომ, ჩვენთვის უცნობია მათი თავკაცის **შოთა ხაბარელის** რეაქცია წილისყრის შედეგებზე.

ვნახოთ, შეძლებს თუ არა **ნესტორ ხერგიანი** ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე საქართველოსთვის პირველი მედლის მოპოვებას. ყოველ შემთხვევაში, მან ჯერ უხერხული ბარიერი უნდა გადალახოს: ნესტორის მეტოქე ფერადკანიანი ფრანგია, რუსული გვარ-სახელით - **დმიტრი დრაგინი**. 23 წლის დრაგინის ყველაზე დიდი მიღწევა მსოფლიო თასზე ორი გამარჯვებაა (ერთხელ თბილისში). ნესტორს დრაგინმა ორჯერ აჯობა, თბილისსა და პარიზში. გამარჯვების შემთხვევაში ხერგიანი ებრაელ **გალ ეკუტიელსა** და მონღოლ **ჰაშბაათარ ცაგანბაათარს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. მონღოლი ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანია.

მესამე წრეში გასვლის შემთხვევაში, დიდი შანსია, ხერგიანის მეტოქედ ვიხილოთ რუსი ძიუდოისტი **რუსლან კიშმახოვი**, რომელიც შარშან ევროპის ჩემპიონი გახდა. ფინალამდე, ბადეში ნესტორის მხარეს არიან ბრიტანელი **კრეიგ ფელონი** და ავსტრიელი **ლუდვიგ პაიშერი**.

»»» 2



## ხერგიანი დრაგინით იწყებს

*პირველი გვერდიდან*

...სამაგიეროდ, ფინალამდე (თუკი შეძლებს ფინალში გასვლას) ჩვენს ძიუდოისტს იაპონელი არ გადაეყრება. ძიუდოს ფუძემდებლებს 60 კგ წონით კატეგორიაში 23 წლის **ჰიროაკი ჰიროაკა** წარადგენს. ნესტორს ძველი ნაცნობიც, ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **მინ ჰო ჩოიც** (კორეა) ასცდა.

სხვა წონებში ტურნირი მოგვიანებით იწყება და ახლა ჩვენების პირველ მეტოქეებს გაგაცნობთ, მერე კი დაწვრილებით ვისაუბრებთ. მაშ ასე, 66 კგ წონით კატეგორიაში გვეიმედება **ზაზა კედელაშვილი**, რომლის პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო წრეში ჩინელ **რიტუბილიგე ვუსა** და უნგრელ **მიკლოშ უნგვარს** შორის დაპირისპირებაში გაირკვევა. წესით, უნგრელი ფავორიტია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ოლიმპიადა პეკინშია...

73 კგ წონით კატეგორიაში **დავით ქევხიშვილის** მეტოქე მოლდოველი **სერგიუ ტომა** იქნება. 81 კგ-ში, **საბა გავაშელიშვილს** პირველ წრეში გასასვლელად, პორტუგალიელი **ჟოაო ნეტოს** დამარცხება მართებს. პირენეელმა წლეულს ევროპის ჩემპიონატი მოიგო. 90 კგ-ში **ირაკლი ცირეკიძე** ოქროს მედლის ერთ-ერთი კანდიდატია. ის პირველ წრეში თავისუფალია, მეორეში კი ალბათ, **სუნ ჰო ჩოისთან** (კორეა) მოუნევს ორთაბრძოლა. 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში **ლომერ ჟორჟოლიანი** ბრიტანელ **პიტერ კუსინსს** დაუპირისპირდება. მძიმე წონაში კი **ლაშა გუჯეჯიანს**, წესით, არ უნდა გაუჭირდეს გუამელი **რიკარდო ბლასის** დამარცხება.

დღეს, მეტოქეთა ვინაობას ჩვენი მოკრივეებიც შეიტყობენ, თუმცა მთავარი, ოლიმპიადის გახსნაა...



ლერი ხაბელოვი საქართველოს დელეგაციის პრეზენტაციისას

# პეკინში ქართული დროშა ფრიალებს

*პირველი გვერდიდან*

...ეს ყველაფერი ხდებოდა გუშინ საღამოს, ექვსიდან შვიდის ნახევრამდე. ამ დროს აქ შეხვდებოდით ყველას: ჩვენს სპორტსმენებს, დელეგაციის ხელმძღვანელებს, მოწვეულ ოფიციალურ პირებს, საელჩოს წარმომადგენლებს, პეკინში მცხოვრებ ქართველებს. ერთ-ერთ მათგანს აქვე წარმოგიდგენთ: ეს გახლავთ **ალექსანდრე გელაშვილი**, არქიტექტორი, რომელიც ჩინელ მეუღლესთან - ანასთან ერთად იყო მოსული. ეს სახელი, ჩემ მიერ შეთავაზებული ქართული სახელებიდან თავად შეარჩიაო, - გვითხრა ბატონმა ალექსიმ. ანა ქართულად შესანიშნავად ლაპარაკობს, ქართველებს გვერდიდან არ მოგვშორებია, უსაზღვროდ გახარებული იყო მეუღლის თანამემამულეებთან ურთიერთობით.

აქვე შევხვდით **ჯუმბერ ლეჟავასაც**. სახელოვანი მსოფლიო ველომოგზაური თავისი განუყრელი ველოსიპედით, რამდენიმე დღის წინ ჩამოსულა პეკინში. ადრე გაცნობეთ, რომ ჯუმბერ ლეჟავამ ეს მოგზაურობა პეკინის ოლიმპიადას მიუძღვნა. ხიფათი და თავგადასავლები ადრეც ჰქონია და არც ეს მოგზაურობა ყოფილა მისთვის გამონაკლისი.

- ჩინეთის ტერიტორიაზე შემოსვლისას გამძარცვეს, მერე გატაცებაც დამიპირეს, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ახლა ყველა მათგანი დაკავებულია, - გვითხრა ბატონმა ჯუმბერმა.

საქართველოს ჟურნალისტები უყურადღებობას ნამდვილად არ ვუჩივით, რაც უპირველესად სპორტის დეპარტამენტისა და ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის დამსახურებაა.

დღეს, ადგილობრივი დროით საღამოს რვა საათზე პეკინში 29-ე ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ გაიხსნება. თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, ამ გრანდიოზულ სპორტულ დღესასწაულს ტელევიზიით ადევნოთ თვალყური. ჩვენ კი უშუალოდ ოლიმპიადის ეპიცენტრიდან შევეცდებით, მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაციები საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილზე.

# როგორ მოვხვდით ფედერერთან დაუპატიჟებელ სტუმრებად



გუშინ, პეკინში. როჯერ ფედერერის პრესკონფერენცია

ოთხწლიანი ლოდინი დასრულებულია – დღეს საზეიმოდ გაიხსნება პლანეტის უდიდესი სპორტული ფორუმი, პეკინის ოლიმპიადა, რომელიც თანამედროვე თამაშების ისტორიაში რიგით 29-ეა. ჩინეთის დედაქალაქი ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მოქუფრული ცით ხვდება. აგერ ორი დღეა, ღრუბლები საწვიმრად გამზადებულან, მაგრამ არც წვიმს და არც სინოპტიკოსებისგან „შეპირებული" ქარიშხალი გვიახლოვდება. სწორედ ამიტომ, პეკინში ზომაზე მეტად ცხელა და ჩვენ, სტუმრებს ქალაქში გაძლება გვიჭირს, აქაურებს კი გაუსაძლისი მდგომარეობისა ვერაფერი შევატყეთ.

საღამომდე, ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დროშის აღმართვამდე თავისუფალი დრო უხვად გვქონდა და ჩვენც, უპირველესად, მთავარი პრესცენტრისკენ (MPC) გავწიეთ. თუკი „ოლიმპიკ გრინი" (უბანი, სადაც ოლიმპიურ ნაგებობათა დიდი ნაწილია თავმოყრილი) ქალაქია ქალაქში, MPC კიდევ ცალკე აღსანიშნავია – რამდენიმე ცათამბჯენი მთლიანად მედიის ფუნქციონირებას ემსახურება. ყველაფერი დიდებულია, მასშტაბები, საპრესკონფერენციო დარბაზები, მომსახურება. დიდ და შეძლებულ სააგენტოებს თვალისმომჭრელი ოფისები აქვთ დაქირავებული,- „როიტერი", „ფრანს პრესი", „გეთი იმიჯს" და სხვები ერთმანეთის მიყოლებითაა და იქ უამრავი ჟურნალისტი ფუსფუსებს. ჩვენი კოლეგებიდან, ალბათ, მათ აქვთ პეკინში მუშაობის საუკეთესო პირობები შექმნილი. MPC ის ადგილია, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი ინგლისურის მცოდნეა თავმოყრილი მთელ ჩინეთში. პრესცენტრი სხვადასხვა ენაზე მომსახურებასაც გვთავაზობს, თუმცა ვეჭვობთ, რომ ეს მხოლოდ ფორმალობაა. რუსულ მერხთან მისულებმა უმალ „ჩავჭერით" რუსულის ცოდნაში მომსახურე გოგონა, მან მხოლოდ „ხოროშო" თქვა ჩვენთვის გასაგებად. სხვათა შორის, პრესცენტრთან მისულები, პირველი ოლიმპიური სიმბოლიკის გამყიდველ რუს ქალბატონს გამოვეცნაურეთ, რომელიც გვარად **ძიძიგური** აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, ჩვენი ეჭვები გამართლდა – პრესცენტრში აღმოვაჩინეთ, რომ ინტერნეტის საუკუნეში პირველად, ოლიმპიურ პრესცენტრში ინტერნეტით მომსახურება მედიისთვის ფასიანია. მოწინავე ტექნოლოგიების ქვეყანამ, მსოფლიოს გაუგებარი „ნოუ-ჰაუ" შესთავაზა – იხდი 3 500 ჩინურ იუანს (რაც დაახლოებით 500 დოლარია), იღებ ბარათს და ოლიმპიადის ბოლომდე ინტერნეტით სარგებლობა შეგიძლია ამ დარბაზში. მრავლისმნახველი ევროპელი და ამერიკელი ჟურნალისტები გაკვირვებისგან ხელებს შლიდნენ და ერთმანეთს ახსენებდნენ, ბოლოს როდის შეემთხვათ მსგავსი უსიამოვნო კურიოზი. დარბაზში ხალვათობაა, უმრავლესობა სასტუმროში მუშაობას არჩევს.

საპრესკონფერენციო განრიგს დავხედეთ და შავით თეთრზე ამოვიკითხეთ: მე-4 დარბაზში 14 საათზე გაიმართება **როჯერ ფედერერის** პრესკონფერენცია. აღნიშნულ დროს 20 წუთი უკლდა და ჩვენც მე-4 საპრესკონფერენციო დარბაზისკენ გავეშურეთ. კი გაგვიკვირდა დარბაზში შეკრებილ ჟურნალისტთა სიმცირე (ასე 20-25 კაცი იქნებოდა) და ჩვენკენ მომართული მათი უკმაყოფილო მზერა, მაგრამ ყველაფერი ჩვენს ზურგს უკან მყოფი, წითელ მაისურში გამოწყობილი ფედერერის პერსონით ავხსენით. როჯერმა ისაუბრა მის შანსებზე ოლიმპიადაზე, აღნიშნა, რომ მის ცუდ სეზონს მხოლოდ ოლიმპიური ოქრო თუ გადაარჩენს. ჯერ კიდევ მსოფლიოს პირველ ჩოგანს (18 აგვისტოს მისი ოთხწლიანი მეფობა დასრულდება, პირველი **რაფაელ ნადალი** ხდება) დასასრულს, ჩვენც დავუსვამდით სპეციფიკურ კითხვას და 1998 წლის უიმბლდონის ფინალს გავახსენებდით ახალგაზრდებში, სადაც როჯერმა **ირაკლი ლაბაძე** დაამარცხა, მაგრამ აღარ დაგვცალდა – ორგანიზატორებმა ისედაც დიდხანს გვითმინეს: თურმე პრესკონფერენცია მხოლოდ შვეიცარიული მედიისთვის გამართულა...

ოლიმპიურ სოფელში შეღწევა ჭირს (გუშინდელი დღე ჩვენთვის გამონაკლისი იყო), ამიტომ მედიასოფელზე მოგიყვებით. ასეთი ორია პეკინში. ისინი კარგად მოვლილ მრავალსართულიანი კორპუსებით გაშენებულ უბანს წარმოადგენს, სადაც ჟურნალისტებისთვის მუშაობის, ცხოვრებისა და გართობის ყველა პირობაა შექმნილი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ ნეფარიძე, ალექსანდრე კოტორაშვილი, გიორგი ჟანიშვილი პეკინიდან**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

ნომრის მორიგე რედაქტორი **დავით თავართქილაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

## ჩოგბურთი. პეკინი 2008

### კაცების ბადე

| 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 | ფინალი |
|---|---|---|---|---|---|
| ფედერერი (შვეიც, 1) | | | | | |
| ტურსუნოვი (რუს) | | | | | |
| ლი (კორ) | | | | | |
| არევალო (სალ) | | | | | |
| რობრედო (ესპ) | | | | | |
| სეპი (იტა) | | | | | |
| ბერდიხი (ჩეხ) | | | | | |
| კარლოვიჩი (ხორ, 14) | | | | | |
| სიმონი (საფ, 10) | | | | | |
| სოდერლინგი (შვედ) | | | | | |
| ნიმაიერი (კან) | | | | | |
| კანიასი (არგ) | | | | | |
| ბელუჩი (ბრა) | | | | | |
| ჰრბატი (სლოვაკ) | | | | | |
| გუჩიონე (ავსტრა) | | | | | |
| ბლეიკი (აშშ, 8) | | | | | |
| დავიდენკო (რუს, 4) | | | | | |
| გულბისი (ლატ) | | | | | |
| მატიო (საფ) | | | | | |
| ლაპენტი (ეკვ) | | | | | |
| ლოგლო (ტოგო) | | | | | |
| ანდერსონი (ს. აფრ) | | | | | |
| მირნი (ბლრ) | | | | | |
| [illegible]ერი (გერ, 15) | | | | | |
| გონსალესი (ჩილ, 12) | | | | | |
| სუნი (ჩინ) | | | | | |
| ჩილიჩი (ხორ) | | | | | |
| მონაკო (არგ) | | | | | |
| ო. როხუსი (ბელ) | | | | | |
| მინარი (ჩეხ) | | | | | |
| ტიპსარევიჩი (სერ) | | | | | |
| ფერერი (ესპ, 5) | | | | | |
| ნალბანდიანი (არგ, 7) | | | | | |
| ჟენგი (ჩინ) | | | | | |
| მასუ (ჩილ) | | | | | |
| დარცისი (ბელ) | | | | | |
| ბოლელი (იტა) | | | | | |
| პანესკუ (რუმ) | | | | | |
| მონფილსი (საფ) | | | | | |
| ალმაგრო (ესპ, 11) | | | | | |
| იუჟნი (რუს, 13) | | | | | |
| ვანეკი (ჩეხ) | | | | | |
| ნიემინენი (ფინ) | | | | | |
| ტ. იოჰანსონი (შვედ) | | | | | |
| შუტლერი (გერ) | | | | | |
| ნიშიკორი (იაპ) | | | | | |
| ჯინეპრი (აშშ) | | | | | |
| ჯოკოვიჩი (სერ, 3) | | | | | |
| მიურეი (ბრიტ, 6) | | | | | |
| ლუ (ტაივ) | | | | | |
| კალერი (არგ) | | | | | |
| ლუბიჩიჩი (ხორ) | | | | | |
| დანიელი (ბრა) | | | | | |
| მელცერი (ავსტრია) | | | | | |
| დანჩევიჩი (კან) | | | | | |
| ვავრინკა (შვეიც, 9) | | | | | |
| შტეპანეკი (ჩეხ, 16) | | | | | |
| ლოდრა (საფ) | | | | | |
| კუერი (აშშ) | | | | | |
| ანდრეევი (რუს) | | | | | |
| ჰიუიტი (ავსტრა) | | | | | |
| ბიორკმანი (შვედ) | | | | | |
| სტარაჩე (იტა) | | | | | |
| ნადალი (ესპ, 2) | | | | | |

### ქალების ბადე

| ფინალი | 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ივანოვიჩი (სერ, 1) |
| | | | | | კორიტცევა (უკრ) |
| | | | | | გოლოვინი (საფ) |
| | | | | | საფაროვა (ჩეხ) |
| | | | | | მედინა გარიგესი (ესპ) |
| | | | | | ბამერი (ავსტრია) |
| | | | | | კრეიბასი (აშშ) |
| | | | | | შნიდერი (შვეიც, 13) |
| | | | | | ზვონარევა (რუს, 9) |
| | | | | | იანი (ჩინ) |
| | | | | | პეერი (ისრ) |
| | | | | | კირსტეა (რუმ) |
| | | | | | ამანმურადოვა (უზბ) |
| | | | | | სკიავონე (იტა) |
| | | | | | ჩანი (ტაივ) |
| | | | | | ა. რადვანსკა (პოლ, 8) |
| | | | | | ს. უილიამსი (აშშ, 4) |
| | | | | | გოვორცოვა (ბლრ) |
| | | | | | სტოსური (ავსტრა) |
| | | | | | ერანი (იტა) |
| | | | | | პენგი (ჩინ) |
| | | | | | სუარეს ნავარო (ესპ) |
| | | | | | ვაიდიშოვა (ჩეხ) |
| | | | | | კორნე (საფ, 15) |
| | | | | | ჰანტუხოვა (სლოვაკ, 10) |
| | | | | | სუგიამა (იაპ) |
| | | | | | სფარი (ტუნ) |
| | | | | | ვოზნიაჩკი (დან) |
| | | | | | ტანასუგარნი (ტაილ) |
| | | | | | არვიდსონი (შვედ) |
| | | | | | კ. ბონდარენკო (უკრ) |
| | | | | | დემენტიევა (რუს, 5) |
| | | | | | ვ. უილიამსი (აშშ, 7) |
| | | | | | ბაშჩინსკი (შვეიც) |
| | | | | | მირზა (ინდ) |
| | | | | | ბენეშოვა (ჩეხ) |
| | | | | | დულკო (არგ) |
| | | | | | დელაკრუა (ავსტრა) |
| | | | | | პერებიინისი (უკრ) |
| | | | | | აზარენკა (ბლრ, 12) |
| | | | | | პენეტა (იტა, 14) |
| | | | | | კანეპი (ესტ) |
| | | | | | დანიილიდუ (საბ) |
| | | | | | რაზანო (საფ) |
| | | | | | მორიტა (იაპ) |
| | | | | | ერაკოვიჩი (ზელ) |
| | | | | | ნა ლი (ჩინ) |
| | | | | | კუზნეცოვა (რუს, 3) |
| | | | | | საფინა (რუს, 7) |
| | | | | | სანტანჯელო (იტა) |
| | | | | | მოლიკი (ავსტრა) |
| | | | | | დავენპორტი (აშშ) |
| | | | | | ლაგოსტერა (ესპ) |
| | | | | | ზაკოპალოვა (ჩეხ) |
| | | | | | ჟენგი (ჩინ) |
| | | | | | შავაი (უნგ, 11) |
| | | | | | ციბულკოვა (სლოვ, 16) |
| | | | | | პარმენტიე (საფ) |
| | | | | | დომახოვსკა (პოლ) |
| | | | | | პირონკოვა (ბულ) |
| | | | | | სეკერა (ვენ) |
| | | | | | ა. ბონდარენკო (უკრ) |
| | | | | | ბლეკი (ზიმ) |
| | | | | | იანკოვიჩი (სერ, 2) |

ვარსკვლავები ოლიმპიადაზე

# ივანოვიჩმა ბარგი დაკარგა

## ფედერერმა ოლიმპიური სოფელი დატოვა და სასტუმროში გადავიდა

სერბი ანა ივანოვიჩი, რომელიც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე პირველ ნომრად არის განთესილი, თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩინეთის დედაქალაქისგან მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს: "ველოდი, რომ პეკინი ძალიან განსხვავებული იქნებოდა იმ ყველაფრისგან, რაც ადრე მქონდა ნანახი, და არც შევმცდარვარ. ეს ჩემი პირველი მოგზაურობაა ჩინეთში და გაოგნებული დავრჩი, იმდენი ადამიანი შემეგება აეროპორტში. ასეთი რაოდენობით გულშემატკივარი და ფოტოგრაფი სხვაგან არსად მინახავს. ნამდვილი სიგიჟე იყო!

ოლიმპიურ სოფელში ცხოვრება საინტერესოა და სრულიადაც არ ჰგავს ტურნირების დროს სასტუმროში ყოფნას. ოთახს სერბეთის ნაკრების სხვა წარმომადგენელთან ვიყოფ, დანარჩენ სპორტსმენებთან ერთად სტადიონზე ავტობუსით დავდივარ, მათთან ერთად ვსადილობ... ოლიმპიური სოფელი შესანიშნავი საცხოვრებელი ადგილია, სადაც ენერგია და მღელვარება იგრძნობა.

პეკინში ტენიანობა დაახლოებით 100 პროცენტია. შესაბამისად, აქ მუდმივად ნისლია, რაც ხილვადობას ამცირებს. დღეს, დილის 10 საათზე ვივარჯიშე და ხელოვნური განათება ჩავართვევინე, რადგან კორტის მეორე ნახევარი ძნელი გასარჩევი იყო. ჩემი აზრით, მატჩები ძალიან რთულ პირობებში გაიმართება.

სამწუხაროდ, ტრავმირებული თითი ისევ ძალიან მტკივა და სრულფასოვან ვარჯიშს ვერ ვახერხებ. მართალია, ლაზერულ თერაპიას გავდივარ, მაგრამ მაინც ძალიან მწყდება გული, რომ ტურნირისთვის ისე ვერ ვემზადები, როგორც ამას ვარ მიჩვეული. იმედს ვიტოვებ, რომ პირველი წრის მატჩამდე მოვასწრებ გამოჯანმრთელებას.

სხვათა შორის, ისევ დავკარგე ჩემი ბარგი! ამის გამო ძალზე ვინერვიულე, რადგან ოლიმპიადისთვის სპეციალური კოსტიუმი მოვამზადე. საბედნიეროდ, ბარგი იპოვეს და ოლიმპიურ სოფელში მომიტანეს. აქ უსაფრთხოების ზომები უკიდურესად გამკაცრებულია - ჩემი ბარგი მანამ არ დამიბრუნეს, ვიდრე ყველა ჩანთა ბოლომდე არ შეამოწმეს. მოუთმენლად ველი ტურნირის დაწყებას. გარდა ამისა, სპორტის სხვა სახეობებში შეჯიბრებებსაც უნდა დავესწრო - წყალში ხტომას, ფრენბურთს"...



ანა პეკინის აეროპორტში

■ ■ ■

საპირისპირო განწყობილება აქვს კაცებს შორის პირველ ნომრად განთესილ **როჯერ ფედერერს**. ცნობილი იყო, რომ შვეიცარიელი სხვა ათლეტებთან ერთად ოლიმპიურ სოფელში იცხოვრებდა, მაგრამ ახლა, როჯერი იძულებული გახდა, სასტუმროში დაბინავებულიყო.

ფედერერმა სპორტსმენების მხრიდან გადამეტებული ყურადღება ვერ აიტანა და მიიჩნია, რომ ოლიმპიურ სოფელში ტურნირისთვის სათანადო მომზადების საშუალებას არ აძლევდნენ.

"მართლაც აუტანელია ეს ყველაფერი. ათლეტების უმრავლესობა მათთან ფოტოების გადაღებასა და ავტოგრაფებს მთხოვს. ამ პირობებში შეუძლებელია ტურნირისთვის ნორმალურად მომზადება. სასტუმროში ვიცხოვრებ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოლიმპიურ სოფელში აღარ მივალ. იქ ხშირი სტუმარი ვიქნები, რეგულარულად მოვინახულებ შვეიცარიელ ოლიმპიელებს. ამჯერად, სხვა ტურნირების ხილვაც მსურს. მძლეოსნობაზე წავალ, კალათბურთზე... რვა წლის წინ, სიდნეიში ბევრი რამის ნახვა მოვასწარი, ათენში კი საერთოდ არსად გავსულვარ", - უცხადებს სააგენტო "როიტერს" მსოფლიოს პირველი ჩოგანი.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიის ოლიმპიურმა კომიტეტმა განსაკუთრებული მისია დააკისრა ჩოგბურთელს. დღეს, როჯერი გახსნის ცერემონიაზე ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მედროშე იქნება. სხვათა შორის, ფედერერი 8 აგვისტოს არის დაბადებული.

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გახსნა

# ცეცხლს ლი ნინი დაანთებს



ლი ნინი ლოს ანჯელესის თამაშებზე

პეკინის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტიდან გახსნის ცერემონიის ერთ-ერთმა მთავარმა საიდუმლომ გაჟონა. როგორც გაირკვა, დღეს ოლიმპიურ სტადიონზე ცეცხლს ჩინეთის ტანვარჯიშის მეფედ აღიარებული **ლი ნინი** აანთებს.

ეს ინფორმაცია სანდო წყაროზე დაყრდნობით სააგენტო "სინხუამ" გაავრცელა. *"ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის. თამაშების ცეცხლი უბრალო სპორტსმენმა არ უნდა დაანთოს. ის ამავდროულად საზოგადოებრივი მოღვაწეც უნდა იყოს. ლი ნინი ამ განსაზღვრებას ყველაზე კარგად მიესადაგება"*, - წერს სააგენტო.

ლი ნინის ვარსკვლავი 1982 წელს ამობრწყინდა, როცა სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატის შვიდი დისციპლინიდან ექვსში ოქროს მედალი მოიპოვა. ორი წლის შემდეგ, ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე, ჩინელმა ოქროს სამი, ვერცხლის ორი და ბრინჯაოს ერთი მედალი მოიგო. 1988 წელს ლი ნინი იძულებული გახდა, დაესრულებინა აქტიური კარიერა. ამის მიზეზი ფეხის ძლიერი ტრავმა გახდა.

თავიდან ჩინელი ჟურნალისტები ვარაუდობდნენ, რომ ოლიმპიადის მთავარი ცეცხლის დანთებას ქვეყნის საუკეთესო კალათბურთელს, "ჰიუსტონ როკეტსის" ერთ-ერთ ლიდერს **იაო მინს** დააკისრებდნენ, მაგრამ ეს ვარიანტი მას შემდეგ გამოირიცხა, რაც ცნობილი გახდა, რომ იაო პეკინში ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში მიიღებდა მონაწილეობას.

სავარაუდოდ, იაო მინს მეორე საპატიო მისიას ანდობენ. კერძოდ, კალათბურთელი გახსნაზე თავისი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მედროშე იქნება. ამ მხრივ იაოს კონკურენტი უნდა ყოფილიყო 110 მეტრ თარჯრბენში ათენის თამაშების ჩემპიონი **ლიუ სიანი**, მაგრამ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ საერთოდ არ აპირებს გახსნის ცერემონიაში მონაწილეობის მიღებას და ამას სტარტებისთვის უკეთ მომზადებით ხსნის.

# ამერიკელთა პოლიტიკური მედროშე

მედროშე აირჩია ამერიკის ოლიმპიურმა ნაკრებმაც. ეს პატივი წილად ხვდა აფრიკული წარმოშობის მძლეოსანს **ლოპეს ლომონგს**.

ამერიკელთა ამ გადაწყვეტილებას შეიძლება პოლიტიკური ნაბიჯიც ვუწოდოთ. 23 წლის ლომონგი წარმოშობით სუდანიდანაა. აშშ კი, როგორც ცნობილია, აქტიურად მუშაობს სუდანის პროვინცია დარფურში ძალადობის შეწყვეტაზე.

ლომონგისთვის ეს იქნება პირველი სერიოზული საერთაშორისო სტარტი კარიერაში. პეკინში ის 1500 მეტრ დისტანციაზე იასპარეზებს. ამერიკის ჩემპიონატზე ლოპესმა ამ დისციპლინაში მესამე ადგილი დაიკავა და ოლიმპიადის საგზური მოიპოვა.

*"ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღე იქნება ჩემს ცხოვრებაში. უდიდესი პატივია ის, რომ გახსნის ცერემონიაზე კოლეგებმა ამერიკის დროშა მე ჩამაბარეს*, - თქვა ლომონგმა და იქვე დაამატა: - *ჩინეთში ჩემი ქვეყნის ელჩად მივიჩნევ თავს და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს როლი ღირსეულად შევასრულო"*.

საგულისხმოა, რომ ოლიმპიადებზე ამერიკის ნაკრების გამოსვლის 100-წლიან ისტორიაში, უმეტეს შემთხვევებში მედროშედ მძლეოსანი გვევლინებოდა. პირველი იყო **რალფ როუზი**, რომელმაც ეს მისია 1908 წელს იტვირთა. ამ სიაში შედის სლავური ფესვების მქონე მძლეოსანი: 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადაზე დროშა **ოლგა ფიკოტოვა-ქონოლის** ეპყრა ხელთ.

■ ■ ■

მედროშის ვინაობა გაამხილა ბრიტანეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. ქვეყნის დროშა მოცურავე **მარკ ფოსტერს** ანდვეს. 38 წლის სპორტსმენი ბრიტანეთის ნაკრების წევრებს შორის ჩატარებული კენჭისყრის შედეგად იქნა არჩეული.



ლოპეს ლომონგი

*"არ მეგონა, თუ თანაგუნდელები ამ როლისთვის ამირჩევდნენ. მათ ამისთვის მადლობას ვუხდი. ვგრძნობ, რომ ეს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს და იმედია, მოვალეობას თავს გავართმევ"*, - ამბობს ფოსტერი.

# უცნაური ამერიკელები

უცნაური სანახავები იყვნენ პეკინის აეროპორტში ამერიკელი ველომრბოლეები - **მაიკ ფრიდმანი, ბობი ლი, სარა ჰამერი** და **ჯენი რიდი** ოლიმპიადის დედაქალაქში სპეციალური ნიღბებით ჩავიდნენ.

პეკინის დაბინძურებული ჰაერის შესახებ ყველასთვის კარგად არის ცნობილი და ამერიკელების ეს ნაბიჯიც ამით იყო განპირობებული, მაგრამ მათმა საქციელმა პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა გალიზიანება გამოიწვია. თამაშების ორგანიზატორებმა ეს ყველაფერი პირად შეურაცხყოფად აღიქვეს.

საბოლოოდ, ველომრბოლების ნაცვლად ბოდიშის მოხდა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ დირექტორს, **ჯიმ შერს** მოუწია: *"ზოგიერთი ჩვენი ათლეტი აეროპორტში ნიღბებით გამოცხადდა. ისინი გულწრფელად შეწუხებულნი არიან ამის გამო და ბოდიშიც შეუთვალეს თამაშების ორგანიზატორებს. მათ სწორად ვერ შეარჩიეს დრო ნიღბების გასაკეთებლად. მაგრამ თუ სპორტსმენები ამის აუცილებლობას ხედავენ, ჩვენ უფლება არ გვაქვს, ნიღბების აფარება დავუშალოთ. ჩემთვის ისიც არის ცნობილი, რომ მსგავსი ნიღბები ამერიკის ოლიმპიური გუნდის 200-მდე ათლეტს დაურიგეს"*.



სარა ჰამერი



# ჰიმნს ბრაიტმანი იმღერებს

გახსნის ცერემონიაზე ოლიმპიადის ოფიციალური ჰიმნიც შესრულდება. ცნობილია მომღერლის ვინაობა. რაც შეეხება მუსიკალური კომპოზიციის სათაურსა და ავტორს, ეს ჯერჯერობით დიდ საიდუმლოს წარმოადგენს - ამის შესახებ ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სპეციალურ განცხადებაში წერია.

XXIX თამაშების მთავარ ოლიმპიურ თემას ბრიტანელი მომღერალი **სარა ბრაიტმანი** წარმოადგენს. მას პარტნიორობას ჩინელი მსახიობი **ლიუ ჰუანი** გაუწევს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ფეხბურთი. კაცები



# ფავორიტებმა მოგებით დაიწყეს

### A ჯგუფი

**ავსტრალია-სერბეთი 1:1**

**ავსტრალია:** ფედერიჩი, ნორტი, ზადკოვიჩი, ტოპორ-სტენლი, მაკლენაჰენი, სპირანოვიჩი, მილიგენი (66. სელესკი), კერნი, მუსიალიკი, ტომპსონი (76. სარკისი), რუკავიცა (88. ბრიჯი).

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ტომოვიჩი, რაიკოვიჩი, კოლაროვი, იოვანოვიჩი, გულანი (73. კაჩარი), სმილიანიჩი, ტოშიჩი, ფეისა (77. ჟივკოვიჩი), ტადიჩი, რაკიჩი (56. მრდაკოვიჩი).

**გოლები:** 1:0 ზადკოვიჩი (69), 1:1 რაიკოვიჩი (78)

**კოტ დ'ივუარი-არგენტინა 1:2**

**კოტ დ'ივუარი:** ანგბანი, ვავა, ბაგაიოკო, ანგია, დიარასუბა, ნგოსანი (63. ჯეჯე), კულიბალი, კამბუ, სისე (74. მურა-კომენანი), კუასი, კალუ.

**არგენტინა:** უსტარი, პარეხა, საბალეტა, გარაი, მონსონი, რიკელმე, გაგო, მასკერანო, აგუერო (80. აკოსტა), მესი (90. სოსა), ლავეცი (63. დი მარია).

**გოლები:** 0:1 მესი (43), 1:1 სისე (53), 1:2 აკოსტა (86)

### B ჯგუფი

**იაპონია-აშშ 0:1**

**იაპონია:** ნიკისავა, მიძუმოტო, უჩიდა, მორისიგე, ნაგამოტო, ტ. ჰონდა, კაგავა (83. ოკაძაკი), კაძიამა (64. ლი), ტანიგუტი, კ. ჰონდა, მორიმოტო (72. ტოიოდა).

**აშშ:** გუზანი, პარკჰიორსტი, ოროსკო, უინი, ჰოლდენი (82. ფეილჰაბერი), ედუ, ბრედლი, კლსტენანი, როჯერსი (86. შეტელა), მაკბრაიდი (74. ელტიდორი), ადუ.

**გოლი:** 0:1 ჰოლდენი (47)

**ჰოლანდია-ნიგერია 0:0**

**ჰოლანდია:** ვერმეერი, ზეივერლონი, პინი, იალიენსი, მარსელისი, დრენტე, მადურო (46. სიბონი), ემანუელსონი (81. ბაკალი), დე გუზმანი, ბაბელი, მაკაი (46. სნო).

**ნიგერია:** ვანზეკინი, ადეფემი, ადელეიე, აპამი, ოკონკვო, პრომისი (88. ეკპო), კეიტა, აჯილორე, ოდემვინგი (80. ანიჩებე), ოკორონკვო (70. ოგბუკე), ობინა.

**გაძევება:** სნო (90. ჰოლანდია)

### C ჯგუფი

**ბრაზილია-ბელგია 1:0**

**ბრაზილია:** რენანი, რაფინია, ალექს სილვა, ერნანეში, მარსელო, ანდერსონი (73. ტიაგო ნევეში), ლუკაში, პატო (75. ჟო), რონალდინიო, ბრენო, დიეგო (85. რამირეში).

**ბელგია:** ბეილი, პოკონიოლი, ვერმალენი, კომპანი, დე რუვერი, ვერტონგენი, ფელაინი, მარტენსი (63. დე სმეტი), დემბელე, მირალიასი (75. სიმაეისი), დე მული (83. ვანდენ ბორე).

**გოლი:** 1:0 ერნანეში (79)

**ჩინეთი-ზელანდია 1:1**

**ჩინეთი:** კუი შენჯიონი, ვანსონ ტანი, ხიაოტინ ფენი, ვეივეი იუანი, ვაიფენ ლი, ჰაიბინ ჟუ, ხუნმინ ჟუ (57. ტაო ჩენი), ჟი ჩენი, ლინ გაო (55. ნინ იანი), პენ ჰანი (78. ფანჟუო დონი), პენ ჩუი.

**ზელანდია:** სპუნლი, სკოტი (84. ტინკლერი), ჰოგი, პევერლი (80. ვან რუიენი), ნელსენი, ელიოტი, ჰენდერსონი, კილენი, ბროკი, ოლდი, ჯენკინსი (41. ბოქსალი).

**გოლები:** 0:1 ბროკი (53), 1:1 ფანჟუო დონი (88)

### D ჯგუფი

**ჰონდურასი-იტალია 0:3**

**ჰონდურასი:** ერნანდესი, არსუ, მოლინა, კაბალიერო, ნორალესი, მარტინესი, პადილია (46. ალვარესი), პავონი, როდასი (65. ნუნიესი), კლაროსი (61. სანჩესი), ტომასი.

**იტალია:** ვივიანო, დე სილვესტრი, კრიშიტო, ბოკეტი (72. კოდა), მონტოლივო, დე ჩელიე, ნოჩერინო, ჩიგარინი, ჯოვინკო (79. მარკიზიო), როსი (59. აბატე), აკვაფრესკა.

**გოლები:** 0:1 ჯოვინკო (41), 0:2 როსი (45-პენ), 0:3 აკვაფრესკა (52-პენ)

**კორეა-კამერუნი 1:1**

**კორეა:** რიონ სუნ იუნი, ჰუნ კვან შინი, ჟინ დონ კიმი, სუ მინ კანი, კუი ჟუ კიმი, ვუ იუნ კიმი, იუნ ჩუ პარკი, იონ ჩუნ ლი (90. ჰოან კუნ კიმი), იენ სუნ კი (84. იუნ იან ოჰი), ჰუნ ჟი ბეკი (46. როკ იუნ შინი), ჰო კიონ ლი.

**კამერუნი:** ტიგნიემბი, ბანინგი, გომსი, ბიკეი, მბია, ბებე, ჩეჯუ (75. სონგოო), ბებეი, ნგალი (80. მბუა), ოლე (64. მანჯეკი), ენამი.

**გოლები:** 1:0 იუნ ჩუ პარკი (68), 1:1 მანჯეკი (81)

### საფეხბურთო ტურნირის განრიგი (კაცები, დრო თბილისისაა)

| | |
|---|---|
| **10 აგვისტო. კვირა** | |
| 13:00 | არგენტინა-ავსტრალია (A ჯგუფი) |
| 13:00 | ნიგერია-იაპონია (B ჯგუფი) |
| 13:00 | ზელანდია-ბრაზილია (C ჯგუფი) |
| 13:00 | კამერუნი-ჰონდურასი (D ჯგუფი) |
| 15:45 | სერბეთი-კოტ დ'ივუარი (A ჯგუფი) |
| 15:45 | აშშ-ჰოლანდია (B ჯგუფი) |
| 15:45 | ბელგია-ჩინეთი (C ჯგუფი) |
| 15:45 | იტალია-კორეა (D ჯგუფი) |
| **13 აგვისტო. ოთხშაბათი** | |
| 13:00 | ჰოლანდია-იაპონია (B ჯგუფი) |
| 13:00 | ნიგერია-აშშ (B ჯგუფი) |
| 13:00 | კორეა-ჰონდურასი (D ჯგუფი) |
| 13:00 | კამერუნი-იტალია (D ჯგუფი) |
| 15:45 | კოტ დ'ივუარი-ავსტრალია (A ჯგუფი) |
| 15:45 | არგენტინა-სერბეთი (A ჯგუფი) |
| 15:45 | ჩინეთი-ბრაზილია (C ჯგუფი) |
| 15:45 | ზელანდია-ბელგია (C ჯგუფი) |
| **16 აგვისტო. შაბათი** | |
| 14:00 | 1/4 ფინალი. C1 - D2 (1) |
| 14:00 | 1/4 ფინალი. D1 - C2 (2) |
| 17:00 | 1/4 ფინალი. A1 - B2 (3) |
| 17:00 | 1/4 ფინალი. B1 - A2 (4) |
| **19 აგვისტო. სამშაბათი** | |
| 14:00 | 1/2 ფინალი. 2 - 4 |
| 17:00 | 1/2 ფინალი. 1 - 3 |
| **21 აგვისტო. ხუთშაბათი** | |
| 14:00 | მატჩი III ადგილისთვის |
| 17:00 | ფინალი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირების ისტორია (დასასრული)

# აფრიკული ექსპანსია



სამუელ ეტოო

## 2000 წელი

სიდნეის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის დაწყებამდე ფავორიტობას სამი გუნდი იჩემებდა - ბრაზილია, იტალია და ესპანეთი. იტალიამ ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლა, თუმცა სპეციალისტების ყურადღება ორმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა მიიპყრო: **ანდრეა პირლომ** და **მასიმო ამბროზინიმ**. ბრაზილია კი მეოთხედფინალში დაემშვიდობა ოლიმპიურ ოქროზე ოცნებას: ისე როგორც ოთხი წლის წინ, მარადიული ფავორიტები ამჯერადაც აფრიკულ გუნდთან დამარცხდნენ. თანაც, ატლანტის მსგავსად, ბრაზილიელებმა ახლაც დამატებით დროში წააგეს. ერთადერთი სხვაობა ის იყო, რომ ოთხი წლის წინ ბრაზილია ნიგერიამ გაამწარა, ამჟამად კი - კამერუნმა. ისე, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ავსტრალიაში ბრაზილიელებს უძლიერესი შემადგენლობა არ ჩაუყვანიათ. თუმცა კი გუნდში ჰყავდათ ლიდერი და იმ დროისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი - **რონალდინიო**! 20 წლის რონი „პარი სენ-ჟერმენში“ გამოდიოდა და თავისი ფენომენრი შესაძლებლობების მიუხედავად ბრაზილიის ნაკრებისთვის წარმატების მოტანა მარტომ მაინც ვერ შეძლო. ბრაზილიის ნაკრების გამოთიშვის მერე ტურნირის ფავორიტებად ესპანეთისა და ჩილეს ნაკრებები მიიჩნეოდნენ. ესპანელთა მთავარი მწვრთნელი **ინიაკი საესი** ძირითად აქცენტს გუნდურ თამაშზე აკეთებდა, თუმცა ცალკეულ ფეხბურთელებს ინდივიდუალური ოსტატობა ნამდვილად არ დაენუნებოდათ. მცველები - **კარლეს პუიოლი, ხოან კაპდევილია, კარლოს მარჩენა**, ნახევარმცველები - **გაბრი, ჩავი, დავიდ ალბელდა**, თავდამსხმელები - **მიგელ ანხელ ანგულო, რაულ ტამუდო**, - 21-23 წლის ეს ახალგაზრდა მოთამაშეები თავიანთ კლუბებში („ბარსელონა“, „ატლეტიკო“, „ვალენსია“, „ესპანიოლი“) უკვე ძირითადის ფეხბურთელებად ითვლებოდნენ. ანუ ყველა წინა პირობა იყო შექმნილი, რომ ესპანელებს 1992 წლის ტრიუმფი გაემეორებინათ, მით უმეტეს, რომ ფინალშიც, მეტ-ნაკლებად, უპრობლემოდ გავიდნენ. ოღონდ, მეტოქედ ყველა ჩილეს ნაკრებს რომ ელოდა, კამერუნი აღმოჩნდა! ჰოდა, მართლაც მრისხანე ცენტრფორვარდის **ივან სამორანოს** დიდებულმა გარჯამაც ვერ უშველა ჩილეს ნაკრებს - ფინალის საგზურამდე ექვსი წუთი აშორებდა და ამ დროში კამერუნელებისგან... ორი გოლი მიიღო. სამორანოს ნუგეშად, ალბათ, ისღა დარჩებოდა, რომ ექვსი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

და აი, ფინალის დღეც მოვიდა: ტურნირის ფავორიტი ესპანეთის ნაკრები სხვა ორი ფავორიტის გამამწარებელი კამერუნის ნაკრების წინააღმდეგ! კამერუნის ნაკრები ძირითადად პერსპექტიული ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული - **ჯერემი, ლორენი** და **ვომე** 21-22 წლისანი იყვნენ, მეკარე **კამენი** კი - 16-ის (აფრიკელ ფეხბურთელთა უმრავლესობამ ზუსტი ასაკი თვითონ არ იცის და ნუ გაგვიკვირდება). თუმცა მთავარი დამრტყმელი ძალა ფორვარდების დუეტი იყო - 30 წლის გამოცდილი **პატრიკ მბომა** და 19 წლის **სამუელ ეტოო**. ფინალის დასაწყისი და საერთოდ, პირველი ტაიმი ისეთი აღმოჩნდა, როგორისაც ყველა ელოდა: „ბარსელონის“ ახალგაზრდა ნახევარმცველების - ჩავისა და გაბრის გოლებმა ესპანელებს ორბურთიანი უპირატესობა მოუტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში, კერძოდ, 53-დან 58-ე წუთამდე კი ესპანელთათვის ნამდვილი კოშმარი მოხდა: ხუთწუთიან მონაკვეთში ჯერ იყო და, ბურთი საკუთარ კარში **ივან ამაიამ** ჩაჭრა, მერე კი სამუელ ეტოომ ანგარიში გაათანაბრა! 2:2 - ასე დასრულდა მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო. პენალტების სერიაში კამერუნელებმა ხუთჯერვე ზუსტად დაარტყეს, მაშინ როცა ესპანელთაგან ერთ-ერთ ფეხბურთელს გადამწყვეტ მომენტში ნერვებმა უმტყუნა. და ვინ იყო ეს მოთამაშე? ისევ, ივან ამაია - ოლიმპიადის ფინალში ავტოგოლიც რომ „გაახერხა“ და გადამწყვეტი პენალტიც ვერ გაიტანა. 21 წლის ამაია „რაიო ვალეკანოში“ თამაშობდა და ძირითად შემადგენლობაში გზა იმ დროისთვის ყველასთვის უცნობმა მწვრთნელმა **ხუანდე რამოსმა** გაუხსნა. ამის მერე, ამაიას კარიერა დაღმასვლით წავიდა მაშინ, როცა ეტოო, კამენი და ლორენი პრიმერა დივიზიონის ცნობილ კლუბებში წლების განმავლობაში თამაშობდნენ. აი, ასე გახდა მეორე აფრიკული გუნდი ოლიმპიური ჩემპიონი.



რობერტო აიალა

## 2004 წელი

ათენის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირი წინამორბედებს ბევრად ჩამოუვარდებოდა. ტურნირს ერთი, უდავო ფავორიტი ჰყავდა და ყველაფერი ლოგიკურადაც დასრულდა - არგენტინის ნაკრებმა, როგორც იქნა, ნატვრა აიხდინა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ეს ფაქტი მოულოდნელი ნამდვილად არ იყო - არგენტინელთა მთავარმა მწვრთნელმა **მარსელო ბიელსამ**, მართლაც, ჩინებული შემადგენლობა შეკრიბა. ამასთან, ბიელსამ, ცოტა არ იყოს, პრესტიჟიც აღუდგინა არგენტინულ ფეხბურთს - მისი ხელმძღვანელობით ორი წლით ადრე ამ ჩინებულმა გუნდმა კორეა-იაპონიაში ხომ სრული ფიასკო განიცადა. ბიელსამ უძლიერესი ახალგაზრდა ფეხბურთელები შეკრიბა: **ხავიერ მასკერანო, ლუჩო გონსალესი, ანდრეს დალესანდრო, კარლოს ტევესი** და **ხავიერ სავიოლა**; 23 წელს გადაცილებულმა სამმა ასაკოვანმა ფეხბურთელმა - **რობერტო აიალამ, გაბრიელ ჰაინცემ** და **კილი გონსალესმა** დიდი წვლილი შეიტანა არგენტინელთა ტრიუმფში. ფინალში არგენტინამ აიალას ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო პარაგვაის და ოლიმპიადის გამარჯვებულიც გახდა. მესამე ადგილზე კი ერთობ სიმპათიური იტალიის ნაკრები გავიდა. იტალიელთა მთავარ მწვრთნელს **კლაუდიო ჯენტილეს** ათენში ურიგო გუნდი არ ჩაუყვანია. **ივან პელიცოლი, მარკო ამელია, მატეო ფერარი, ჯორჯო კიელინი, დანიელე ბონერა, დანიელე დე როსი** და **ალბერტო ჯილარდინო** - ყველა ეს ფეხბურთელი დღესაც მაღალ დონეზე ასპარეზობს. დაბოლოს, იმასღა დავამატებთ, რომ ბოლო ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი რვა გოლით არგენტინელი კარლოს ტევესი გახდა.

**გია ტუხაშვილი**



კარლოს ტევესი








ჩავი



ივან სამორანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# შანსი დავკარგეთ

სტამბოლის საჭადრაკო ფესტივალზე გუშინ ბოლოს წინა, მერვე ტური გაიმართა. დიდი იმედი გვქონდა, რომ **ლევან ფანცულაია** ლიდერობას შეინარჩუნებდა და ტურნირის გამარჯვებულიც გახდებოდა - თურქ **სუათ ატალიკთან** და სომეხ **არმენ პაშიკიანთან** ერთად 6.5 ქულით პირველ-მესამე ადგილებს იყოფდა. ნილისყრამ ლევანი მერვე ტურში ატალიკს შეახვედრა; ქართველს შავი ფერი ერგო. სამწუხაროდ, ფანცულაიამ თავის დაცვა ვერ მოახერხა და დამარცხდა. ობიექტურობას რომ მოვუხმოთ, თურქი გამობრძმედილი დიდოსტატია და მისი კარგი თამაში მოულოდნელი ნამდვილად არ იყო; გულდასაწყვეტი ის არის, რომ ლევანს ბევრად ძლიერი მოჭადრაკეებიც დაუმარცხებია... ამ მარცხმა ლევანს ტურნირის მოგების შანსი დაუკარგა, - ბოლო ტურში რომც იმარჯვოს და ატალიკმა წააგოს, კოეფიციენტით ვერ აჯობებს!..

მეტს ველოდით **მერაბ გაგუნაშვილისგან** - მართალია, შავებით, მაგრამ დაბალრეიტინგიან რუს ქალბატონს, **ბაირა კოვანოვას** ხვდებოდა და გვჯეროდა, რომ აუცილებლად გაიმარჯვებდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ნახევარი ქულა შემატა მარაგს. ყაიმით ითამაშა **გიორგი ბაღათუროვმაც** - ბულგარელ **ევგენი კრაენკოვს** დაუზავდა.

ქართულ დერბიში, ხადაც **ვალერიანე გაფრინდაშვილი მაკა ფურცელაძეს** ხვდებოდა, კვლავ იმარჯვა ძლიერმა სქესმა. მეექვსე ტურში გაფრინდაშვილი **ნინო ბაციაშვილს** შეხვდა და არც მაშინ დაუთმო ვალერიანემ ქალბატონს. რას იზამ - სპორტში სხვა კანონებია და ცხოვრებაში - სხვა... მეორე ქართულ დერბიში **ბელა ხოტენაშვილი** და **თამარ ხმიადაშვილი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. ხოტენაშვილი ხმიადაშვილის მოწაფე იყო და მათ შორის ქულის გაყოფა მოულოდნელი არ იქნებოდა, - შედეგმა დაგვანახვა, რომ დიდი ბრძოლა არ შემდგარა.

გაიმარჯვა **თამარ წერეთელმა**, რომელმაც თურქი **იზაკ რიმი** დაამარცხა და ქულათა მარაგი საკმაოდ სოლიდური გაუხდა - 6.5. ტურნირს, ცხადია, ვერ მოიგებს თამარი, მაგრამ ბოლო ტურში ქალთა შორის პირველობა შეიძლება დაიბევოს. მოიგო ნინო ბაციაშვილმაც - თურქი **ჰაირი ოზბილენი** დაამარცხა შავებით და 6 ქულა გაუხდა.

ბოლო ტურის წინ ცხრილის ზედა ნაწილში ასეთი ვითარებაა: 7.5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს თურქი სუათ ატალიკი; 7-7 ქულა აქვთ თურქ **მიხაილ გურევიჩსა** და სომეხ **ლევონ ბაბუჯიანს**. 6.5 ქულა ერთბაშად 14 მონაწილეს აქვს, რომელთა შორის ხუთი ქართველია: ლევან ფანცულაია, ვალერიანე გაფრინდაშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, თამარ წერეთელი და გიორგი ბაღათუროვი. 16 მონაწილეს 6 ქულა აქვს, მათ შორის არიან ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი და თამარ ხმიადაშვილი. **თეონა მესხს**, მაკა ფურცელაძეს, **ანა გავაშელსა და ნონა დათუაშვილს** 5,5-5,5 ქულა მოუგროვდათ.

ბოლო ტურში ატალიკი გურევიჩს შეხვდება; ფანცულაია - ლევონ ბაბუჯიანს. სხვა, ჩვენთვის საინტერესო წყვილები: **გადირ ჰუსეინოვი** (აზერ.)-გაფრინდაშვილი; გაგუნაშვილი-წერეთელი; **მეტოდი სტოინევი** (ბულ.)-ბაღათუროვი; **დამერ კარაკეთინი** (თურ.)-ხოტენაშვილი; ბაციაშვილი-**ალი ამარკამჩი** (თურ.); ხმიადაშვილი-**ოეჯან კანმაზალპი** (თურ.).

**ზვიად შათირიშვილი**

# უცუდესი დღე

თურქულ გაზიანთეფში მიმდინარე 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე მეხუთე ტური ქართველთათვის ყველაზე ცუდი აღმოჩნდა; შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფიასკო ალბათ აღარც კი მოუვათ - ვაჟთაგან სამივე დამარცხდა, გოგონებში კი ერთი მარცხი, ერთიც ყაიმი და მხოლოდ ერთი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩვენში კი ამბობენ, ზედმეტად კაცს ნუ აქებ - თვალი არ ეცესო, მაგრამ როცა შესაქებია, პირს ხომ ვერ ამოიკერავ; დიდად არც ხოტბა შემისხამს ჩვენებურთათვის, მაგრამ ის კი ვთქვი - კარგად თამაშობენ და ასეთი მომზადებულები 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს ქართველი ვაჟები დიდი ხანია, არ შეხვედრიან-თქო. განა, სათქმელი არ გვქონდა: საწყის სამ ტურში **თორნიკე სანიკიძემ** სამჯერვე იმარჯვა და ორი ფავორიტი დაამარცხა; **დავით ბენიძემაც** ერთი ფავორიტი დააშამათა, ორთანაც ქულა გაიყო.

არც **ნოდარ ლორთქიფანიძეს** შეურცხვენია თავი და რეიტინგით თუ წოდებით ბევრად წინ მყოფ მოჭადრაკეებს ტოლ-სწორად ებრძოლა. რაც გინდა თქვი და, სანიკიძემ ზედიზედ ორჯერ კი წააგო - გუშინ თეთრებით ვიეტნამელ დიდოსტატს **ლიემ ქვანკ ლის** ვერაფერი მოუხერხა . ვიეტნამელს სოლიდური რეიტინგი აქვს - 2577. ბენიძემ შავებით დათმო სომეხ **ჰრანტ მელკუმიანთან** (2507); ლორთქიფანიძემ კი ინდოელი **არუნ პიასად სუბრამიანის** (2492) შეტევებს ვერ გაუძლო.

გოგონებში **მირანდა მიქაძემ** შავებით ვერ შეძლო ბულგარელი ფიდეს ოსტატის **ადრიანა ნიკოლოვას** (2242) დამარცხება, ქულა გაიყვეს. **ქეთი წანალაშვილმა** კი სულაც წააგო, თანაც თეთრებით ინდოელ **რაჯკუმარ პრიტისთან** (2183). ერთადერთი გამარჯვება გუშინდელ დღეს **ნაზი პაიკიძემ** ჩაწერა აქტივში - შავებით ებრაელი **მარსელ ეფროიმსკი** დაიბრიყვა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მარსელს დიდი რეიტინგი არა აქვს - 2091. იმედია, ნაზი ამ მოგებით თვითრწმენას დაიბრუნებს და კარგი შედეგით დაასრულებს ჩემპიონატს.


ბელა ხოტენაშვილი

ჩვენებმა კი წაიფორხილეს, მაგრამ ჯერჯერობით ლიდერებს ბევრით არ ჩამოვრჩებით, უფრო სწორად, ჯერაც არსებობს შანსი, ლიდერებში გავერიოთ. შეგახსენებთ, ჩემპიონატი 13 ტურად ტარდება.

ლიდერთა პოზიციები კი ასეთია: გოგონათა შორის სომხური წარმოშობის ამერიკელი **თათევ აბრაჰამიანი** ლიდერობს ერთპიროვნულად - 4.5 ქულა აქვს. 4 ქულით ხუთი მონაწილეა: უკრაინელი **მარია მუზიჩუკი**, ინდოელი **ჰარიკა დრონავალი**, ყაზახი **გულმირა დაულეტოვა**, ყაზახი **გულიმსხან მახბაევა** და ინდოელი **მარი ან გომესი.** მირანდა მიქაძეს 3.5 ქულა აქვს, - ამდენივე კიდევ თერთმეტ მონაწილეს მოუგროვებია. ნაზი პაიკიძესა და ქეთი წანალაშვილს 2.5 აქვთ და ცხრილის შუა ნაწილში არიან.

ვაჟთა შორის ორხელისუფლებიანობაა - 4.5 ქულით ჩინელი **ჩაო ლი** და ინგლისელი **დავიდ ჰოუელი** ლიდერობენ. 4 ქულა შვიდ მონაწილეს აქვს. სამწუხაროდ, მათ შორის ქართველები არ არიან. თორნიკე სანიკიძემ ქულით ცხრილის შუაში ჩაინაცვლა. ნოდარ ლორთქიფანიძეს და დავით ბენიძეს 2.5 ქულით ცხრილის მეორე ნახევარში ვხედავთ. სანიკიძე მეხუთე ტურში შავებით ებრაელ **ისრაელ კასპის** (2412) ხვდება. ლორთქიფანიძე თეთრებით **დანიელ ვოკატუროს** შეხვდება, ბენიძის მეტოქე კი ამერიკელი **ტაილერ ჰაგესი** იქნება.

მირანდა მიქაძეს აზერბაიჯანელ **ნარმან კაზიმოვასთან** ბრძოლა უწევს. ნაზი პაიკიძე ჩეხ **სენა პერტლვას** ხვდება, ქეთი წანალაშვილი კი - ყახაზ **მადინა დავლეტბაევას** დამარცხებას ეცდება.

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. U 20

# მარცხი დამატებითში


რიჩარდ მათიაშვილი

**საქართველო-სლოვენია 82:91**

(17:21, 18:23, 20:19, 22:14. 5:14 ო.ტ)

საქართველო: შენგელია (25ქ), პირველაშვილი (2), წივწივაძე (15), შერმადინი (10), ჯგერენაია (10), გაფრინდაშვილი (6), მათიაშვილი (11), ფაცაცია (3), გულისაბედაშვილი.

სლოვენია: ვირკი (7), ტომიჩი (5), ლაპორნიკი (7), მულალიჩი (22), გავრიჩი (2), ბილიჩი (2), დრაგიჩი (30), ჩიგოჟა (12), ალისპაჰიჩი (4).

საქართველოს ოცწლამდელ კალათბურთელთა ნაკრებმა ლატვიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ელიტისათვის ბრძოლაში მეორე შეხვედრაც წააგო. ამჯერად ჩვენმა კალათბურთელებმა სლოვენიის ნაკრებთან ოვერ ტაიმში დათმეს შეხვედრა.

პირველი ნახევრის შემდეგ საქართველოს ნაკრები 9 ქულას აგებდა- 35:44. თუმცა მესამე და მეოთხე მეოთხედებში თამაშის ხარისხი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და მატჩის მიწურულს, როცა შეხვედრის დამთავრებას 12 წამი აკლდა, **გიორგი გაფრინდაშვილმა საჯარიმოები ზუსტად ტყორცნა და 77:75 დავწინაურდით. სამ წამში საჯარიმოს ხაზთან უკვე სლოვენიელი იაკობ ვირ**კი იდგა, რომელიც ასევე ზუსტი იყო და ანგარიში გაათანაბრა- 77:77.

ბოლო შეტევა ქართველების იყო. ძირითადი დროის ამოწურვამდე ერთი წამით ადრე, გაფრინდაშვილმა ორქულიანი ესროლა, მაგრამ ვერ ჩააგდო. ფარიდან ბურთი **გიორგი პირველაშვილმა** მოხსნა, მაგრამ მისი ტყორცნაც არაზუსტი გამოდგა. თამაში ოვერ ტაიმში გადავიდა.

დამატებით ხუთ წუთში ჩვენმა კალათბურთელებმა მობილიზება ვერ შეძლეს. მონაგარს მხოლოდ 5 ქულა შემატეს, როცა მეტოქემ 14 ქულას მოუყარა თავი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი ლევან შენგელია იყო 25 ქულით.

მეორე წყვილში ბერძნებმა ბულგარელები დაამარცხეს 98:57.

საქართველოს ნაკრები ელიტაში დარჩენის შანსს ინარჩუნებს. ამისათვის ჩვენმა ფრენბურთელებმა ბოლო შეხვედრაში საბერძნეთის ნაკრებს უნდა ძლიოს, სლოვენიამ კი - ბულგარეთს.

**ბულგარეთი-საბერძნეთი 57:98**

**1. სლოვენია-4 ქულა, 2. საბერძნეთი-3, 3.ბულგარეთი-3, 4 საქართველო-2.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქა-რთველოს მეტოქე შეუცვალეს

პეკინის ოლიმპიადაზე საქართველოს სპორტული დელეგაციიდან, ძიუდოისტებთან ერთად, ერთ-ერთი პირველნი პლაჟბურთელები ჩაებმებიან ბრძოლაში. **საქა-რთველო** და **გეორ-გია** თავიანთ პირველ შეხვედრებს ხვალ გამართავენ.

ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, საქა-რთველოს პირველი მეტოქის, ბრაზილიური წყვილის - **ჟულიანა-ლარისა** შემადგენლობაში ცვლილება მოხდა. ჟულიანას ერთი კვირის წინ ავსტრიულ კლაგენფურტში გამართულ მსოფლიო ტურის ეტაპზე ტრავმა გაუმიზეზდა და პეკინში ასპარეზობას ვერ ახერხებს. მის ნაცვლად ლარისამ ერთ-ერთ საუკეთესო ბრაზილიელ პლაჟბურთელ **ანა პაულა კონელისთან** ერთად ისურვა თამაში. ანა პაულამ წლეულს **შელდა ბედესთან** წყვილში მსოფლიო ტურის სამი ეტაპი მოიგო, მათ შორის კლაგენფურტშიც.

**9 აგვისტო**

**10.00** გეორ-გია (საქართველო)-შახტი-სლეკი (ავსტრალია)
**16.00** საქა-რთველო (საქართველო)-ანა პაულა-ლარისა (ბრაზილია)

**11 აგვისტო**

**09.00** გეორ-გია (საქართველო)-რიკარდო-ემანუელი (ბრაზილია)
**15.00** საქა-რთველო (საქართველო)-ბარნეტი-კუკი (ავსტრალია)

**13 აგვისტო**

**06.00** საქა-რთველო (საქართველო)-შირიაევა-ურიადოვა (რუსეთი)
**10.00** გეორ-გია (საქართველო)-ფერნანდესი-მორაიში (ანგოლა)

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. ლეგიონერები

# რუსეთში იმარჯვებენ, საფრანგეთში ვერა



საფრანგეთში არმან ვაკერენის სახელობის თასის გათამაშებაში მორიგი შეხვედრები გაიმართა. **მამუკა გორგოძის „მონპელიე“ ირაკლი მაჩხანელის** ყოფილ გუნდს „მონ დე მარსანს“ დაუპირისპირდა და 10:15 დამარცხდა. გორგოძე ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

მეორე შეხვედრაში „პერპინიანსა“ და ინგლისურ „სეილ შარკსს“ შორის მატჩი ფრედ - 24:24 დამთავრდა.

ერთი შეხვედრა გაიმართა რუსეთის სუპერლიგის გათამაშებაში. **დავით კიკნაძისა და ბექა ყურაშვილის** ნოვოკუზნეცკის „სმენამ“ სტუმრად დაამარცხა პენზის „დინამო“- 24:20. კიკნაძემ სამი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გაიტანა, რითაც ჯამში გუნდს 9 ქულით შეეწია.

მოსკოვში კი ამჟამად ქალაქის მერის თასის გათამაშება მიმდინარეობს, სადაც რუსულ კლუბებთან ერთად იაპონიის ორი, რუმინეთისა და უკრაინის თითო გუნდი ასპარეზობს. **რატი ურუშაძისა** და **დავით კაჭარავას** კრასნოიარსკის „ენისეიმ“ პირველი შეხვედრა იაპონიის „ფუკუოკა სონიკსთან“ გამართა და 17:15 დაამარცხა. მომდევნო შეხვედრას „ენისეი“ ბუქარესტის „დინამოსთან“ გამართავს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ცნობები აპენინიდან: მჭედლიძე მილანის, იუვენტუსისა და ბაიერნის ჟოგრიტში



ორიოდე კვირაც და, იტალიურ სერია A-ში ახალი სეზონი დაიწყება. შესაბამისად, სატრანსფერო სეზონის დასრულებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და მოსალოდნელ თუ სავარაუდო ტრანსფერებზე მეტი ინფორმაცია ვრცელდება. იტალიურმა გამოცემა „ლა ნაციონემ" საქართველოს ნაკრების ფორვარდ **ლევან მჭედლიძეზე** გუშინ კიდევ ერთი ინფორმაცია გაავრცელა: მჭედლიძით ტურინის „იუვენტუსის" გარდა, მიუნხენის „ბაიერნი" და „მილანი" დაინტერესდნენ. ალსანიშნავია ისიც, რომ ლევან მჭედლიძეს რეკომენდაცია „როსონერიში" საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გაუწია.

*„ლევან მჭედლიძით სამი გრანდია დაინტერესებული. „იუვენტუსი", „ბაიერნი" და „მილანი" საქართველოს ნაკრების თავდამსხმელისადმი ინტერესს არ ფარავენ. მჭედლიძეს რეკომენდაცია თავის გუნდში კახა კალაძემ გაუწია"* - წერს იტალიური გამოცემა „ლა ნაციონალე".

ბუნებრივია, საქმეში უკეთ გარკვევა ვცადეთ. თავად ლევანი ჯერ კიდევ სამშობლოშია და ისვენებს, მაგრამ წუხელ მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. თუმცა მჭედლიძეების ოჯახში გვითხრეს, რომ ლევანის აგენტი **დავიდე ტორკია** „იუვენტუსის" გარდა „ბაიერნისა" და „მილანის" ინტერესს ადასტურებს.

**დავით ცაბაძე**

---

# დინამო ადასტურებს: ელიავა გვჭირდება
# სკონტო თანახმაა: 6 თვით ვანათხოვრებთ



ზაალ ელიავას სანაკრებო და საკლუბო კარიერა არაერთგვაროვნად აეწყო. კლაუს ტოპმიოლერი ნიჭიერ ქართველ მოთამაშეს ენდობოდა და ძირითად შემადგენლობაში ხშირად ათამაშებდა. ნაკრებში საკმაოდ კარგად ჩატარებული მატჩების შემდეგ, რიგის „სკონტოს" ქართველი მცველისადმი დაინტერესება გაიზარდა, მაგრამ ამას მოჰყვა ზაალის მხრის ქრონიკული ტრავმები, რაც სამჯერ გაუმეორდა და ნიჭიერ მცველს, ფაქტობრივად, ბოლო წელიწად ნახევარი გაუცდა.

ის ორჯერ იყო რუსეთის პრემიერლიგის პერმის „ამკარში" და ორჯერვე უკან გააბრუნეს. მიზეზი ქართველის მოუმზადებლობა აღმოჩნდა - ტრავმებმა და უთამაშებლობამ ქართველს დაღი დაასვა.

თანაც, როგორც ვიცით, ელიავას „სკონტოსთან" მალე კონტრაქტი უმთავრდება, ახალს არ აფორმებს და რიგელები მის ნაცვლად დაბევებულ მოთამაშეს ათამაშებენ.

„სკონტოში" უთამაშებლობას რუსეთში იმედგაცრუება დაემატა და ზაალმა თბილისის „დინამოს" წინადადება მიიღო.

23 წლის მარცხენა მცველი თბილისშია და საქართველს ჩემპიონთან მოლაპარაკება წამოიწყო. რაინერ ცობელმა „ლელოსთან" ინტერვიუშიც აღნიშნა, რომ მარცხენა მცველის პოზიციაზე სერიოზული პრობლემა აქვს და მართლაც - საყრდენი ნახევარმცველი გია ნერგაძე მისთვის უჩვეულო პოზიციაზე დააყენა. თუმცა „პანათინაიკოსთან" განმეორებით მატჩში იმდენად მწვავე საკადრო პრობლემები შეექმნა, რომ ნერგაძე ცენტრში, დილმელაშვილის ადგილზე გაამწესა, მარცხენა მცველად კი გულვერდ თომაშვილი დააყენა.

მოკლედ, „დინამოს" სჭირდება მარცხენა მცველის პოზიციის გამყარება. ჯერ შეთანხმება არ გაფორმებულა, „დინამო" ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს, თუმცა ელიავა რომ დინამოელობას უახლოვდება, რიგის „სკონტოს" გენერალურმა მენეჯერმა მიხეილ ძოძუაშვილმაც დაგვიდასტურა:

- დიახ, ზაალი თბილისშია და ალბათ, „დინამოში" ითამაშებს.

**- მას „სკონტოსთან" კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა?**

- ჯერ არა, მაგრამ მისთვის აჯობებს დროებით აქ ითამაშოს.

**- ანუ ლაპარაკია იჯარაზე?**

- დიახ, წლის ბოლომდე „დინამოში" დარჩება და მერე ისევ რიგაში დავაბრუნებთ.

**- გამოდის, „სკონტოსგან" პრობლემა არ შეექმნება.**

- რა თქმა უნდა, არ შეექმნება. საკითხი 90 პროცენტით გადაწყვეტილია.

მას „სკონტოს" მწვრთნელი პოლ ეშკორტი არ ათამაშებდა, რუსეთშიც ვერ გადავიდა და უთამაშებლად ხომ არ დარჩება. თუმცა ჯერ „დინამოსთან" საკითხი შესათანხმებელია.

ელიავას მიმართ ინტერესი თბილისის „დინამოშიც" დაგვიდასტურეს: *„დიახ, ზაალ ელიავას დამატების ინტერესი თბილისის „დინამოს" აქვს. თუმცა დეტალურ ინფორმაციას რამდენიმე დღეში საზოგადოებას ვაცნობებთ"*, - გვითხრა თბილისეთა პრეს-ატაშე **გიგა გვენცაძემ.**

ასე რომ, დღე-დღეზე ელიავას „დინამოში" ჩარიცხვას უნდა ველოდეთ. კაცმა რომ თქვას, ეს სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული გარიგება იქნება, თუკი კლუბები და თავად ფეხბურთელი საბოლოოდ შეთანხმდებიან.

**მერაბ მამუაშვილი**

---

# დავით ოდიკაძე: ჩვენ ეს ჩემპიონატი გვაბრკოლებს



თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდა. გუნდი წლეულს გაცილებით ღირსეულად გამოიყურებოდა, ვიდრე შარშან, როდესაც ვენის „რაპიდთან" სამარცხვინოდ დამარცხდა.

რა თქმა უნდა, სხვაობა თვალში საცემია, დუშან უჰრინის მცდელობით, ამ ერთ წელიწადში „დინამო" გაიზარდა და რაინერ ცობელს საკმაოდ მოლონიერებული გუნდი დაახვედრა. ის სამარცხვინო გუნდი, შარშან „რაპიდთან" რომ ვიხილეთ, ახლა „პანათინაიკოსთან" შინ საკმაოდ ღირსეულად გამოიყურებოდა.

დავით ოდიკაძე, გურამ კაშია, ჯორჯ აკირემი თბილისელებში გამორჩეულები იყვნენ. მათ ბევრი იმუშავეს და გამარჯვებისთვის ყველაფერი გაიღეს, მაგრამ ძალა ალმართს ხნავს.

და მაინც, „დინამო" დამარცხდა. თუ რატომ - ამაზე პასუხის გაცემას თბილისის „დინამოს" ვიცე-კაპიტანი დავით ოდიკაძე შეეცდება, რომელიც მიიჩნევს, რომ დღევანდელ ვითარებაში „პანათინაიკოსთან" ფრე ნორმალური შედეგი იყო:

- მიმაჩნია, რომ ჩვენ ბერძნებთან საკმაოდ კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ვითვალისწინებ ყველა იმ გარემოებას, რაც ჩვენ გარშემოა.

**- თუმცა დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ გამარჯვების ბოლომდე არ გჯეროდათ - რაინერ ცობელის თქმის არ იყოს, მეტოქეს საკმაო რიდით ეთამაშებოდით.**

- რა გითხრათ... თბილისში მოედანზე გასულს მართლა მჯეროდა, რომ „პანათინაიკოსთან" მოგება სავსებით რეალური იყო. ათენის მატჩამდე მეგონა, შეგვჭამდნენ. არადა, იქაური მეორე ტაიმის შემდეგ მივხვდი, ბერძნები ისეთი საშიშები არ იყვნენ, თავიდან რომ წარმომედგინა. ბევრად ნამდვილად არ გვჯობდნენ.

შარშანდელის შემდეგ „დინამო" აშკარად გაიზარდა და ეს ყველასათვის ცხადია. თუმცა, რა თქმა უნდა, ჯერ არ ვართ ისეთი გუნდი, რომელიც „პანათინაიკოსს" დაამარცხებს. თუმცა, იმაში კი გეთანხმები, რომ სულ ვამბობთ, გასატანი გვქონდა და ვერ გავიტანეთ-თქო. კლასში საგრძნობი სხვაობა იყო. ეს უფრო კარგად გამოჩნდა, როცა მოედანზე ბრაზილიელი ჟილბერტო სილვა შემოვიდა. მან სტუმრების თამაში მაგრად დაალაგა და მათი დამარცხება გაგვიჭირდა.

**- 0:0-ით კმაყოფილი დარჩი?**

- კმაყოფილი შემდეგ წრეში გასვლით დავრჩებოდი. სხვა რამ კი უდავოდ გამიხარდა - მატჩმა მეც და ბიჭებსაც თავდაჯერებულობა შეგვძინა. დავინახეთ, რომ გაცილებით მეტი შეგვიძლია, ვიდრე აქამდე გვეგონა. თუმცა 100 მილიონის მქონე ბიუჯეტიან კლუბს მილიონიანი „დინამო" ფრეს რომ ეთამაშება, ესეც დიდი მიღწევაა. მგონი, ამაში დამეთანხმებით.

იცით, ჩვენ რა გვიშლის ხელს და რატომ ვერ ვიზრდებით ფეხბურთელები და მთლიანად გუნდი? „პანათინაიკოსი" საბერძნეთში თითქმის ყველა მატჩს მძიმე ბრძოლაში ატარებს. იქ გუნდებს ფიზიკური მომზადების პრობლემა არ აქვთ, დარბიან და ომობენი. კლასი სხვა ამბავია, მაგრამ წინააღმდეგობას მაინც უწევენ. ჩვენ კი უეფას ტურნირებზე გვიწევს ჩვენი მთელი ენერგიის გალება და შემდეგ, ფაქტობრივად, ვისვენებთ. „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია" და კიდევ ორიოდე გუნდი თუ გაგვიწევს წინააღმდეგობას - ესაა და ეს. ასეთი რეჟიმი წინსვლისთვის არ კმარა.

როდესაც სეზონში რთული მატჩების რაოდენობა ასე ცოტაა, ძნელია გუნდი გაიზარდოს და „პანათინაიკოსის" დონის მეტოქეს მოუგოს. სხვათა შორის, ჩვენამდე ბერძნებმა ამხანაგურში „შარლერუას" 5:1 მოუგეს. ასეთ გუნდს ჩვენი ჩემპიონატის შემდეგ, როგორ უნდა მოვუგოთ?

**- ანუ ყველაფრის მიზეზი საქართველოს ჩემპიონატის დაბალი დონეა?**

- თქვენ ეჭვი გეპარებათ? სამწუხაროდ, ასეა. ჯერ პირველობა არ დაწყებულა და გუნდები უკვე დაიშალნენ. ასეთ პირობებში გუნდის და მოთამაშეების ზრდა ძალიან ძნელია. ჩვენი პირველობის დაბალი დონე ცუდ სამსახურს უწევს არა მარტო გუნდებს, არამედ ეროვნულ ნაკრებსაც.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ შარშანდელი სეზონის შემდეგ „დინამო" გაცილებით გაძლიერდა.

**- გეთანხმები, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი მხოლოდ ამით ვერ დაკმაყოფილდება.**

- ეს გვესმის. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი შრომა, ადრე თუ გვიან შედეგს მოიტანს და „დინამო" კიდევ უფრო გაძლიერდება.

**- შენი აზრით, „პანათინაიკოსმა" თბილისში მთელი ძალით ითამაშა?**

- მწვრთნელმა პირველი ტაიმის შუაში თავდამსხმელი შეცვალა, ანუ არ აწყობდა ფრე, მეტი რაღა უნდა მოენდომებინა?

**- ფეხბურთელები თავის დაზოგვას არ ცდილობდნენ?**

- მათ წინააღმდეგ ვთამაშობდი და უნდა მენდოთ - თვალებში არა გულგრილობა, არამედ ბრძოლის ჟინი ეტყობოდათ.

**მერაბ მამულაშვილი**

---

# თარგამაძე კუბის წინააღმდეგ

დათო თარგამაძემ 5 ივნისს პირველად მოირგო „ფრაიბურგის" ძირითადი შემადგენლობის მაისურა. მისმა თამაშმა „მაინცთან" მთავარი მწვრთნელის **რობინ დუტის** მოწონება დაიმსახურა.

მართალია, 18 წლის ქართველმა ნახევარმცველმა კუნთი გაიჭიმა, მაგრამ მალევე მომჯობინდა და 6 ივნისს „ფრაიბურგში" კიდევ ერთხელ ითამაშა. ამჯერად საკონტროლო მატჩში გერმანული კლუბის მეტოქე კუბის ეროვნული ნაკრები გახლდათ.

*„კუბასთან მწვრთნელმა მხოლოდ მეორე ტაიმში მათამაშა. მართალია, დიდი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ვერ გავიტანეთ და მხოლოდ ფრეს დავჯერდით"*, - გვითხრა თარგამაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

---

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების აკრედიტაციისთვის სპორტულმა ჟურნალისტებმა უნდა მიმართონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურს პარასკევის, 8 აგვისტოს ჩათვლით.**

სფფ-ის პრესცენტრი

# საქართველო პეკინში

## ნინო სალუქვაძე



01.02.1969 წ. **ტყვიის სროლა.** 1988 წლის სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი (სპორტული პისტოლეტით სროლაში) და II პრიზიორი (პნევმატური პისტოლეტით სროლაში), მსოფლიო ჩემპიონი, სამგზის მეორე და ამდენივეგზის მესამე პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მეექვსედ მონაწილეობს.

## ნესტორ ხერგიანი



20.07.1975 წ. **ძიუდო** (60 კგ). 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი. მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი, გუნდურში მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი, გუნდურში მსოფლიო თასის მფლობელი, ევროპის ხუთგზის (მათ შორის - სამჯერ გუნდურში) ჩემპიონი, ექვსჯერ მესამე ადგილის მფლობელი. ოლიმპიურ თამაშებში მესამედ მონაწილეობს.

## ზაზა კედელაშვილი



12.11.1985 წ. **ძიუდო** (66). სამგზის ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი. ოლიმპიურ თამაშებში პირველად მონაწილეობს.

## დავით ქევხიშვილი



05.01.1983 წ. **ძიუდო** (73). გუნდურში მსოფლიო თასის მფლობელი და ევროპის ჩემპიონი; კონტინენტის ჩემპიონატების ორგზის მეორე და სამგზის მესამე პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მეორედ მონაწილეობს.

## საბა გავაშელიშვილი



15.12.1987 წ. **ძიუდო** (81). ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მესამე პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში პირველად მონაწილეობს.

## ირაკლი ცირეკიძე



03.05.1982 წ. **ძიუდო** (90). მსოფლიო ჩემპიონი და გუნდურში მსოფლიო თასის მფლობელი. ევროპის ჩემპიონატების მეორე და მესამე პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## ლომერ ჭორჭოლიანი



20.01.1988 წ. **ძიუდო** (100). ახალგაზრდებში ევროპის მესამე პრიზიორი, გუნდურში კონტინენტის თასის გათამაშების მესამეადგილოსანი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## ლაშა გუჯეჯიანი



12.08.1985 წ. **ძიუდო** (მძიმე წონა). ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონი, უფროსებში მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი, გუნდურში მსოფლიო და ევროპის თასების მფლობელი, კონტინენტის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მეორედ.

## ლაშა გოგიტაძე



04.06.1987 წ. **ბ/რ. ჭიდაობა** (55). ახალგაზრდებში მსოფლიო და ევროპის პირველობების სამგზის მესამე პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## დავით ბედინაძე



05.02.1985 წ. **ბ/რ. ჭიდაობა** (60). მსოფლიო ჩემპიონატების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი, ევროპის ჩემპიონატების მეორე და მესამე პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## მანუჩარ კვირკველია



12.10.1978 წ. **ბ/რ. ჭიდაობა** (74). მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებული და ორგზის მესამეადგილოსანი, ევროპის ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მეორედ.

## ბადრი ხასაია



24.09.1979 წ. **ბ/რ. ჭიდაობა** (84). მსოფლიო ჩემპიონატების მეორე და მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## რამაზ ნოზაძე



16.10.1983 წ. **ბ/რ. ჭიდაობა** (96). ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონი და მესამეადგილოსანი, ორგზის ევროპის ჩემპიონი და ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

## ბესარიონ გოჩაშვილი



06.02.1983 წ. თავისუფალი ჭიდაობა (55). ახალგაზრდებში მსოფლიო და ევროპის პირველობების მეორე და მესამე პრიზიორი, უფროსებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## ოთარ თუშიშვილი



14.06.1978 წ. **თავისუფალი ჭიდაობა** (66). მსოფლიო ჩემპიონატების მეორე და მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატების სამგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მესამედ.

## გელა საღირაშვილი



11.07.1978 წ. **თავისუფალი ჭიდაობა** (74). ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი. ოლიმპიურ თამაშებში მეორედ მონაწილეობს.

დღეს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში, საღამოს 8 საათსა და 8 წუთზე (თბილისის დროით 4 საათსა და 8 წუთზე) საზეიმოდ გაიხსნება ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშები. ხვალიდან კი მსოფლიოს საუკეთესო ათლეტები, მათ შორის - საქართველოს წარგზავნილებიც, მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან. გაუწყებთ ჩვენი სპორტსმენების შეჯიბრებებში მონაწილეობის განრიგს.

### 9 აგვისტო

1. **ნესტორ ხერგიანი**, ძიუდო, 60 კგ. *წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30*
2. **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე**, მშვილდოსნობა. *საკვალიფიკაციო შეხვედრები 08.00-10.00*
3. **გეორ-გია, საქა-რთველო**, პლაჟბურთი. *წინასწარი შეჯიბრება 05.00-10.50, 14.00-19.45*
4. **ილია გიორგაძე**, სპორტული ტანვარჯიში. *კვალიფიკაცია 08.00-10.00, 12.00-14.05, 16.00-18.05*

### 10 აგვისტო

1. **ზაზა კედელაშვილი**, ძიუდო, 66 კგ. *წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30*
2. **კახაბერ ჟვანია**, კრივი, 69 კგ. *წინასწარი ორთაბრძოლები 11.00-12.30, 16.30-18.15*
3. **ნინო სალუქვაძე**, ტყვიის სროლა. *პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. კვალიფიკაცია და ფინალი 05.00-12.15*
4. პლაჟბურთი. *წინასწარი შეხვედრები 05.00-10.50, 14.00-19.45*
5. **ირაკლი რევიშვილი**, ცურვა, *200 მ. თავისუფალი ყაიდა. კვალიფიკაცია*, **ანა სალნიკოვა**, ცურვა, *100 მ. ბრასი. კვალიფიკაცია. 14.30-17.20*

### 11 აგვისტო

1. **დავით ქევხიშვილი**, ძიუდო, *73 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30, ფინალური ეტაპი 14.00-15.30*
2. **ნიკოლოზ იზორია**, კრივი, *57 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 09.30-11.00, 15.00-16.30*
3. პლაჟბურთი. *წინასწარი შეჯიბრებები. 05.00-10.50, 14.00-19.45*
4. **ირაკლი რევიშვილი, ანა სალნიკოვა**, ცურვა. *ნახევარფინალი 06.00-08.03*
5. **ირაკლი რევიშვილი, ანა სალნიკოვა**, ცურვა, *ფინალები 06.00-07.43*

### 12 აგვისტო

1. **საბა გავაშელიშვილი**, ძიუდო, *81 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30, ფინალური ეტაპი 14.00-15.30*
2. **ლაშა გოგიტაძე** (55 კგ) **დავით ბედინაძე** (60 კგ.). ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, *წინასწარი შეხვედრები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00*
3. **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე**, მშვილდოსნობა. *ინდივიდუალური შეხვედრები: 1/32, 1/16 06.00-09.10, 11.30-14.40*
4. პლაჟბურთი, *წინასწარი შეჯიბრებები 05.00-11.50, 14.00-19.45*

### 13 აგვისტო

1. **ირაკლი ცირეკიძე**, ძიუდო, *90 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30*
2. **მანუჩარ კვირკველია**, ბ/რ ჭიდაობა, *74 კგ. წინასწარი შეხვედრები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.30-15.00*
3. პლაჟბურთი, *წინასწარი შეჯიბრება 05.00-10.50, 14.00-19.45*
4. **ნინო სალუქვაძე**, ტყვიის სროლა, *სპორტული პისტოლეტი, კვალიფიკაცია, ფინალი 05.00-11.50*

### 14 აგვისტო

1. **ლომერ ჭორჭოლიანი**, ძიუდო, *100 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30*
2. **ბადრი ხასაია** (84 კგ), **რამაზ ნოზაძე** (96 კგ), ბ/რ ჭიდაობა, *წინასწარი შეხვედრები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00*
3. **კახა ჟვანია**, კრივი, 69 *კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 09.30-10.30, 17.00-18.00*
4. **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე**, მშვილდოსნობა. *ინდივიდუალური შეხვედრები 1/8, 1/4, 1/2, III ადგილი, ფინალი 06.30-08.30, 12.00-14.45*
5. პლაჟბურთი, *წინასწარი შეჯიბრებები 05.00-10.50*
6. **ილია გიორგაძე**, ტანვარჯიში, *მრავალჭიდი, ფინალი 07.00-09.00*

### 15 აგვისტო

1. **ლაშა გუჯეჯიანი**, ძიუდო, *მძიმე წონა. წინასწარი ორთაბრძოლები 08.00-12.30. ფინალური ეტაპი 14.00-15.30*
2. **რაულ ცირეკიძე**, ძალოსნობა, *85 კგ. წინასწარი შეხვედრები 06.00-08.00. ფინალური ეტაპი 15.00-16.40*
3. **ნიკოლოზ იზორია**, კრივი, *57 კგ. წინასწარი შეხვედრები 09.30-10.30, 17.00-18.00*
4. პლაჟბურთი, *მეთერთმეტედფინალი. 05.00-08.00, 14.00-17.50*

### 16 აგვისტო

1. პლაჟბურთი. *მეთერთმეტედფინალი 14.00-17.50*
2. **ლუბა გოლოვინა**, ბატუტზე ხტომა. *კვალიფიკაცია 07.00-08.15*
3. **მარიამ ქევხიშვილი**, ბირთვის კვრა. *კვალიფიკაცია 05.00-09.10, 15.00-18.40*

### 17 აგვისტო

1. **არსენ კასაბიევი**, ძალოსნობა, 94 კგ. *11.30-13.30, 15.00-16.40*
2. **კახა ჟვანია**, კრივი, 69 კგ. *მეოთხედფინალი 16.00-17.00*
3. **ილია გიორგაძე**, თავისუფალი ვარჯიში, *ტაიჭზე ვარჯიში. ფინალი 14.00-17.00*

### 18 აგვისტო

1. **ალბერტ კუზილოვი**, ძალოსნობა, *105 კგ. 11.30-13.30, 15.00-16.40*
2. **ნიკოლოზ იზორია**, კრივი, 57 კგ. *მეოთხედფინალი 16.00-17.00*
3. პლაჟბურთი, *მეოთხედფინალი 06.00-08.00, 16.00-17.50*
4. ტანვარჯიში: *რგოლებზე ვარჯიში, ბჯენით ხტომები, ფინალი 14.00-16.15*
5. ბატუტზე ხტომა, *ფინალი 16.25-16.44*
6. **დავით ილარიანი**, 110 მ. თარჯრბენი. *I წრე 07.10-08.00*

### 19 აგვისტო

1. **ბესიკ გოჩაშვილი**, თავისუფალი ჭიდაობა, *55 კგ. წინასწარი ორთაბრძოლები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00*
2. ტანვარჯიში: *ორძელი, ძელი, ფინალი 14.00-16.15*
3. **დავით ილარიანი**, 110 მ. თარჯრბენი. *II წრე 16.45-17.20*

### 20 აგვისტო

1. **ოთარ თუშიშვილი** (66 კგ), **გელა საღირაშვილი** (74 კგ), თავისუფალი ჭიდაობა. *წინასწარი შეხვედრები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00*
2. პლაჟბურთი, *ნახევარფინალი 05.00-06.50*
3. თარჯრბენი *110 მ. ნახევარფინალი 17.30-18.10*

### 21 აგვისტო

1. **რევაზ მინდორაშვილი** (84 კგ), **გიორგი გოგშელიძე** (96 კგ), თავისუფალი ჭიდაობა. *წინასწარი შეხვედრები 05.30-09.00. ფინალური ეტაპი 12.00-15.00*
2. თარჯრბენი 110 მ. *ფინალი 17.35-17.45*

### 22 აგვისტო

1. კრივი, *57 და 69 კგ. ნახევარფინალები 10.00-10.30, 16.30-17.00*
2. პლაჟბურთი, *III ადგილი. ფინალი 05.00-08.30*

### 23 აგვისტო

1. კრივი, 57 *კგ. ფინალი 15.35-15.50*

### 24 აგვისტო

1. კრივი, 69 *კგ. ფინალი 11.15-11.30*
2. *ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონია 16.00-18.30*

*შენიშვნა: მითითებულია თბილისის დრო*




## რევაზ მინდორაშვილი



01.07.1976 წ. **თავისუფალი ჭიდაობა** (84). მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული და მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატების ოქროს, ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მეორედ.

## გიორგი გოგშელიძე



07.11.1979 წ. **თავისუფალი ჭიდაობა** (96). მსოფლიო ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული, ერთხელ ვერცხლისა და ორჯერ ბრინჯაოს მედლის მფლობელი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## ნიკოლოზ იზორია



31.08.1985 წ. **კრივი** (57). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მეორედ.

## კახაბერ ჟვანია



31.05.1983 წ. **კრივი** (69). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## ქრისტინე ესებუა



19.03.1985 წ. **მშვილდოსნობა.** ახალგაზრდებს შორის გუნდურში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი; უფროსებში ევროპის ჩემპიონატზე გუნდური მეორე და მსოფლიო თასზე გუნდური მესამე ადგილები. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მეორედ.

## ხათუნა ნარიმანიძე



02.02.1974 წ. **მშვილდოსნობა.** გუნდურში ევროპის ჩემპიონატებზე მეორე და მესამე ადგილები, მსოფლიო თასის გუნდურ გათამაშებაზე მესამე ადგილი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მესამედ.

## მარიამ ქევხიშვილი



17.09.1985 წ. **მძლეოსნობა** (ბირთვის კვრა). ახალგაზრდებში ევროპის მესამე პრიზიორი, ევროპის საკლუბო ჩემპიონატების გამარჯვებული და ორგზის მეორეადგილოსანი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მეორედ.

## დავით ილარიანი



21.01.1981 წ. **მძლეოსნობა** (110 მეტრზე თარჯრბენი). ევროპის საკლუბო ჩემპიონატებში თითოჯერ - პირველი და მეორე, ხოლო ორჯერ მესამე ადგილები დაიკავა. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მეორედ.

## ილია გიორგაძე



01.12.1978 წ. **სპორტული ტანვარჯიში.** ოლიმპიურ თამაშებში მეოთხედ მონაწილეობს.

## ლუბა გოლოვინა



20.04.1990 წ. **ბატუტზე ხტომა.** ახალგაზრდებში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი. წლეულს უფროსებში მსოფლიო თასზე მეხუთე ადგილი დაიკავა. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## ირაკლი რევიშვილი



11.03.1989 წ. **ცურვა** (200 მ. თავისუფალი ყაიდით). საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## ანა სალნიკოვა



11.01.1987 წ. **ცურვა** (100 მ. ბრასი). საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## რაულ ცირეკიძე



24.05.1987 წ. **ძალოსნობა** (85 კგ). ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## არსენ კასაბიევი



15.11.1987 წ. **ძალოსნობა** (94 კგ). ახალგაზრდებში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს მეორედ.

## ალბერტ კუზილოვი



05.02.1985 წ. **ძალოსნობა** (105 კგ). ახალგაზრდებში ევროპის მესამე პრიზიორი.

## გეორ (რენატო გომესი)



20.11.1981 წ. **პლაჟბურთი.** ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## გია (ჟორჟე ტერსეირო)



19.07.1979 წ. **პლაჟბურთი.** სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## საქა (კრისტინა სანტანა)



27.05.1979 წ. **პლაჟბურთი.** ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

## რთველო (ანდრეზა ჩაგასი)



02.08.1977 წ. **პლაჟბურთი.** ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს პირველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთუს ბირი



ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძე

საქართველომ კუდი არგენტინულ ყავარზე გადო და რა კუდები არ გამოაბეს ამას... ისიც კი ითქვა, - გიგა ბოკერია არგენტინული ფეხბურთის ფანია და რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი კუპერი რომ გახდა, მას ამიტომაც დაუჭირეს მხარიო.

ვინძლო სასაცილოც კი იყოს ეს ყველაფერი და იუმორის გარეშე მართლაც რომ ძნელია ცხოვრება. ეს ჩვენი ალმასკომი ხომ სულ მთლად ბენი ჰილის შოუს ემსგავსება. გუშინ პატივცემული ალმასკომის წევრები პეტარ სეგრტს უჭერდნენ მხარს; მერე კი, როცა მათ მეთაურს, ვექტორი ექტორ რაულისკენ შეაცვლევინეს, მათაც კუპერის მხარე დაიჭირეს და არგენტინელიც ერთხმად დაამტკიცეს ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელად.

ამასობაში, „გლაზგო რეინჯერსი“ ნუკრი მანჩხავას „კაუნასმა“ გამოაგდო ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან. ზოგადად, „რეინჯერსს“ უჭირს აღმოსავლეთ ევროპის გუნდებთან თამაში. ვლადიკავკაზში ჩაფრებმა, ერთხელ, „ალანიას“ 7:2 კი მოუგეს, მაგრამ ეს გამონაკლისი იყო. უმეტესწილად, აიბროქსელები ჯახირობენ აღმოსავლეთ ევროპაში. როცა „რეინჯერსში“ შოთა არველაძე თამაშობდა, გლაზგოელებმა ჩეხეთში „ჟიჟკოვთან“ 0:3 წააგეს, ახლა კი - ეს ლიტველები... ცხადია, გაგვიხარდა, ამ ისტორიული გამარჯვების მონაწილე მანჩხავაც რომ გახდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წლეულს „რენჯერსმა“ უეფას თასის ფინალში ითამაშა.

წინ მიიწევს თემურ ქეცბაიას „ანორთოსისიც“. ქეცბაია წარმატებული კაცია - კვიპროსული ფეხბურთის დიდების დარბაზში ჯერ კიდევ მაშინ შევიდა, „ანორთოსისს“ თურქული „ტრაბზონსფორის“ ძლევაში რომ დირიჟორობდა. თუ ქეცბაიას გუნდი „ოლიმპიაკოსს“ დაამარცხებს, ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება. ერთი სიტყვით, თემური დიდ საქმეებს ეჭიდება.

რაინერ ცობელი კი გულმოსულია, - თქვენთან მენისკის მორჩენას ოთხ კვირას რატომ უნდებიანო! ევროპაში მენისკი სურდოსავით მალე რჩება, ჩვენ კი აქამდე ჯერ ვერ მივედით. უდავოა, რომ მხოლოდ ეს არ არის „დინამოს“ და ზოგადად, ქართული ფეხბურთის მთავარი პრობლემა.

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა „ლელოს“ უთხრა, - კუპერი პიროვნული თვისებებითაც დასაფასებელია, ის ცოტათი უხეშიც კი არისო. ეს უკვე რაღაც ახალია. უხეში სექსილა აკლდა ჩვენს ნაკრებს და ახლა, ალბათ, ესეც ექნება. ისიც ძალიან საინტერესოა, პატივცემული მოხელე როგორ აღმოაჩენს ბობოქარი სექსის ნაკვალევს ჩვენს ეროვნულ ნაკრებში.

კუპერი მალე იმ შემადგენლობას გამოამზეურებს, 20 აგვისტოს უელსის ნაკრებთან მატჩისთვის რომ შეიკრიბება. ნაკრებში ბოლო დროს არ ეძახდნენ რუსულ პრემიერლიგაში მოთამაშე ლეგიონერებს - დავით სირაძეს, ალექსანდრე ამისულაშვილს, გოგიტა გოგუას... კუპერი რუსეთისკენ აუცილებლად გაიხედავს. უზარმაზარ და მრისხანე ქვეყანაში საფეხბურთო მეურნეობა კარგადააწყვეს და ქართველებიც რიგიანად ირჯებიან იქ.

რა თანხა დაჯდება კუპერის დაქირავება? ტოპმიოლერის მუშაობის პერიოდში ფედერაციისგან არაერთი დაპირება იყო, - ნაკრების მომდევნო მწვრთნელის ანაზღაურება კონფიდენციალური აღარ იქნებაო, მაგრამ ასე არ მოხდა. კულუარული ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ: კუპერისა და მისი თანაშემწეების წლიური ჯამაგირი ჯამში 1. 800. 000 დოლარს მიაღწევს. ცოტა ნამდვილად არ არის და თუ წარმატებებსაც მივაღწევთ, ამას ბონუსებიც დაემატება.

კუპერი ძვირია, მაგრამ ჩვენი ნაკრების წარმატებაც ისეთი ძვირი სანახავია, ვინძლო მართლა ღირდეს ოთუს ბირი.




ინტერვიუ დავით დევდარიანთან

## კლასიკური ათი ნომერი, რომელიც ეკლესიურად ცხოვრობს

### მოედანზე მოსაგებად გავდივარ და არა ვინმეს მოსაკლავად



დავით დევდარიანი

2007/08 წლების სეზონი იმით თუ იყო გამორჩეული, რომ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხურთელი გამოჩნდა და დაწინაურდა.

დავით დევდარიანმა თავი რუსთავის „ოლიმპში“ თამაშით გამოიჩინა. ტექნიკურმა, რბილი მანერით მოთამაშე პლეიმეიკერმა ნათელი გონებითა და კარგი ალღოთი, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის, პეტარ სეგრტის ყურადღებაც მიიპყრო და ხორვატმა ის გაზაფხულზე ლატვიელ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩში ათამაშა. ხოლო 31 მაისს ეროვნული ნაკრების მაისურიც გაიმეტა მისთვის - დევდარიანმა შეცვლაზე ითამაშა პორტუგალიასთან.

„ფონდმა არველაძემ“ კი დევდარიანი დანიურ „ორჰუსში“ მიავლინა სტაჟირებაზე. ორჰუსელებს ჩვენებური მოეწონათ და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დავითი ამ გუნდში ჩაირიცხება, საიდანაც კარგ ევროპულ გუნდში მოხვედრის დიდებული შანსი გაუჩნდება.

**- რამდენად ახლოს ხარ „ორჰუსთან“ კონტრაქტზე ხელის მოწერასთან?**

- „ორჰუსში“ ათი დღით ვიყავი წასული. უკვე ათი დღე გავიდა, რაც ჩამოვედი. რუსთავის „ოლიმპში“ არ დავბრუნებულვარ, პირველი ლიგის „თბილისში“ ვვარჯიშობ და ველოდები, თუ როდის შევთანხმდებით პირობებზე. „ოლიმპთან“ კონტრაქტი კიდევ მაკავშირებს, თუმცა „ორჰუსში“ წასვლაში ალბათ ხელს არ შემიშლიან.

**- როგორ ფიქრობ, „ორჰუსში“ თავი კარგად წარმოაჩინე?**

- ვარჯიშის გარდა, ერთხელ ვითამაშე კიდეც - ამხანაგური შეხვედრა იყო დანიის ჩემპიონ „ოლბორგთან“ და 2:0 მოვიგეთ. საგოლე პასი შევასრულე და მეორე საგოლე კომბინაციაში მივიღე მონაწილეობა.

**- შენს ნაკლად იმას მიიჩნევენ, საკმარისად ათლეტური არ არის და ორთაბრძოლებში მოისუსტებსო. ეთანხმები ამას?**

- საქმე ისაა, რომ ტანი უცებ ავიყარე და ჯანი ვიზუალურად არ მეტყობა. ვფიქრობ, ათლეტიზმში სხვებს არ ჩამოვრჩები. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ კომპონენტში მოსამატებელი არ მაქვს. არა მგონია, ფიზიკური მომზადება ჩემთვის პრობლემას წარმოადგენდეს.

**- როგორც გავიგე, ეკლესიურად ცხოვრობ. ეს ხელს არ გიშლის სპორტსმენობაში?**

- მართლაც ვცდილობ, ეკლესიურად ვიცხოვრო და ყველას ვურჩევდი ამას. ჩვენი ერის სიძლიერე სწორედ ამაშია. ტვერელის ტაძრის მრევლი ვარ. რელიგიური ცხოვრება სპორტსმენობაში ხელს კი არ მიშლის, მეხმარება.

**- მოედანზე სპორტსმენი ხანდახან დაუნდობელიც უნდა იყოს...**

- მოედანზე მოსაგებად გავდივარ და არა ვინმეს მოსაკლავად.

**- დავით დევდარიანი მწვრთნელმა გელა გომელაურმა აღმოაჩინა და ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდად დაეხმარა - ასეთია საყოველთაო აზრი...**

- მან ყველაფერი მასწავლა, რაც კი ფეხბურთელს სჭირდება. ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაშიც მიუძღვის წვლილი. შეიძლება ითქვას, გომელაური ჩემი აღმზრდელია. მისმა გაწვრთნილმა „თბილისმა“ კი ახლახან უმაღლესი ლიგის „საგრას“ მოუგო საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალში. მერწმუნეთ, „თბილისი“ მართლაც კარგი გუნდია, სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს.

**- პეტარ სეგრტის ნდობაც ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი იყო...**

- სეგრტისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის. ის ამა თუ იმ მინუსებზე მიმანიშნებდა, რაც ძალიან სასარგებლო იყო.

**- პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებთან შენს თამაშზე რას იტყოდი?**

- კარგად გამოჩნდა, ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს ყველაზე უფრო რაში გვაქვს მოსამატებელი - ეს არის ჯანი და გამძლეობა.

**- დანიაში გატარებულმა ათმა დღემ რა სიახლეები დაგანახვა?**

- სწრაფად თამაში უნდა აითვისო. ისეთი უნდა იყო, როგორიც ხარ და თუ მართლა კარგი ფეხბურთელი ხარ, ამას ყველა დაინახავს. მერე კი ყველაფერი იოლი იქნება, მათ შორის ახალ გარემოსთან შეგუებაც.

**- კლასიკური ათი ნომრები კი თითქმის აღარ არიან...**

- მე მაინც მგონია, რომ პლეიმეიკერები ახლაც ალამაზებენ ფეხბურთს და ისინი ძალზე საჭირონი არიან. არ ვაპირებ ამპლუის შეცვლას და მინდა, პლეიმეიკერად დავასრულო ჩემი კარიერა. მარადონას და ზიდანის თამაშით ვიხიბლებოდი, ახლა კი ყველაზე უფრო კაკა მომწონს. გამოჩენილ პლეიმეიკერებზე ბევრი რამ ვიცი - მამაჩემი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და სახლში მდიდარი საფეხბურთო ლიტერატურა გვაქვს.

დავით თავართქილაძე

U 19. ამხანაგური მატჩი. ესტონეთი-საქართველო

## სვანაძეს ტალინში 18 ფეხბურთელი მიჰყავს

დღეს საღამოს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეიკრიბება. ხვალ გამთენიისას კი რიგის გავლით ტალინს გაემგზავრება. ზაურ სვანაძის გუნდი რუმინეთთან ჩატარებული ორი საშინაო ამხანაგური მატჩის შემდეგ კიდევ ორ საკონტროლო შეხვედრას გამართავს. 12 და 14 აგვისტოს ჩვენი 19-წლამდელები ტალინში ესტონელ თანატოლებს გაეჯიბრებიან. ტალინში გასამგზავრებლად ზაურ სვანაძემ 18 ფეხბურთელი შეარჩია.

მეკარეები: გიორგი მაკარიძე (დინამო), ამირან კოტრიკაძე (გაგრა).

მცველები: გიორგი გეთიაშვილი (დინამო), ლევან კაკუბავა (დინამო), გიორგი სარაჯიშვილი (ოლიმპი), ბადრი ტეტუნაშვილი (გაგრა), გურამ მინდორაშვილი (დინამო).

ნახევარმცველები: ირაკლი ხუციძე (ამერი), თემურ შონია (ოლიმპიკი), თორნიკე თარხნიშვილი (სპარტაკი), გიორგი სალარიძე (ორბები), თორნიკე ბერიძე (ბათუმი), ვაჟა ნემსაძე (დინამო), ირაკლი კვეკვესკირი (დინამო მ, რუსეთი), ლაშა საცერაძე (ზესტაფონი).

თავდამსხმელები: მიხეილ ხოკერაშვილი (გაგრა), მიხეილ როსტიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზვიად მჭადაშვილი (დინამო).

*„ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჯგუფური რაუნდის მატჩები, კვიპროსზე ნოემბრის ბოლოს გველის. გვინდა, მანამდე დარჩენილი პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენოთ. რუმინეთთან ჩატარებული ამხანაგური მატჩები გაცნობითი ხასიათისა იყო. ამჯერად კი გუნდის შეთამაშებაზე გავაკეთებთ აქცენტს. გარდა ამისა, მინდა ჩემი გუნდი „საშინაო კედლების“ შემდეგ, გასვლით შეხვედრაშიც ვნახო“, - „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ზაურ სვანაძემ.*

ორივე შეხვედრა ტალინის მთავარ არენაზე, „ა ლე კოკზე“ გაიმართება და თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. ესტონელ ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ ბერნჰარდტმა ქართველებთან მატჩებისთვის ოც ფეხბურთელს უხმო.

კასპარ კალდოია (ფლორა), ანდრეი ვეისი (ფლორა), ჰენრი ანიერი (ფლორა), სანდერ სინილაიდი (ფლორა), იონას ლიასი (რაკვერი), არტიომ არტიუნინი (ლევადია), ალექს მონესი (ლევადია), იგორ სუბოტინი (ლევადია), მაქსიმ პოპონოვი (ტვმკ), სტივენ კარპი (ვარიორრი), მელის პეიტრა (ვარიორრი), მიკ რეინტამი (ვარიორრი), ალბერტ პროშა (ტამეკა), იულიუს სტოკასი (კალიუ), სანდერ-სამი კივი (კალიუ), მარტინ ჩეგოდაიევი (კალიუ), ალექსეი იახიმოვიჩი (ფლორა), დეის იოგისტე (აიაქსი, ტალინი), მიხაელ ლავრენტიევი (აიაქსი, ტალინი), რაუნო ალიკუ (ფლორა).

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# ახალაია მესხეთში ითამაშებს


ლადო ახალაია

ეს უკვე გადაწყვეტილია: 26 წლის ფორვარდმა **ლადო ახალაიამ** ახალციხის „მესხეთთან“ კონტრაქტი გუშინ გააფორმა. ახალი სეზონიდან ახალაია „მესხეთში“ 20-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. ეს ინფორმაცია ახალციხელთა კლუბის პრეზიდენტმა **გია მესხელმაც** დაგვიდასტურა. ხელშეკრულების თანახმად, ახალაია „მესხეთში“ ახალი სეზონის პირველ წრეს ჩაამთავრებს, მერე კი, თუ მხარეები შეთანხმდებიან, კონტრაქტი შესაძლოა გაგრძელდეს.

*„ლადო ახალაიამ დღეს უკვე ივარჯიშა ჩვენს გუნდში. ეს ფეხბურთელი არა მარტო ჩვენი, არამედ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ძალაა. იმედი გვაქვს, ლადო მალე ჩვეულ ფორმაში შევა და ჩვენი გუნდის წარმატებებში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს“*, - „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა „მესხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა.**

ახალაია კიშინიოვის „ზიბრუში“, თბილისის „დინამოში“, შვეიცარიულ „ციურიხში“, ბოლოს კი კიშინიოვის „დაჩიაში“ თამაშობდა. გამოდიოდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. თბილისის „დინამოში“ თანამეგობრობის თასი აქვს მოგებული.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# მუჯირი ჩივილს ქვედა ინსტანციიდან დაიწყებს

ადრეც გაუწყეთ, რომ ისპაჰანის „სეპაჰანმა“ **ჯაბა მუჯირს** განუცხადა, - ახალ მწვრთნელს არ სჭირდები და სხვაგან მოგიწევს წასვლაო. მუჯირს კი „სეპაჰანთან“ კონტრაქტი ამოწურული არა აქვს და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას ითხოვს, რისი გადახდაც „სეპაჰანს“ არ უნდა.

„ლელომ“ ისიც გაუწყათ, რომ მუჯირი ფიფაში აპირებდა ჩივილს. გუშინ ჯაბას კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ ირანში და შევიტყვეთ, რომ ჩვენებური სარჩელის შეტანას ჯერ ირანის ფეხბურთის ფედერაციაში აპირებს.

„ისპაჰანი“ დათმობაზე წავიდა - ყაბულსაა, მუჯირი სატრანსფერო თანხის გადახდის გარეშე გაუშვას, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, რაც ირანის უმაღლესი ლიგის გუნდების დაკომპლექტება უკვე დასრულდა. ჰოდა, ჯაბაც არ თმობს.

**დავით თავართქილაძე**

# 10 გუნდი უმაღლესში? ბორჯომი დაშლას უარყოფს

## ხაჩიძემ გუნდი მაინც დატოვა


ვლ... ხაჩიძე

საქართველოს მეოცე ჩემპიონატი მძიმე პირობებში იწყება - უკვე ორი გუნდი გამოაკლდა: პირველი ლიგის გამარჯვებული ჭიათურის „მაღაროელი“ თავიდანვე განწირული იყო და მის მაგივრად ლიგას „გაგრა“ დაემატა.

შემდეგ იყო თბილისის „ამერის“ გულსაკლავი ისტორია - ფინანსურმა პრობლემებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო და პირველ ლიგაში გადავიდა.

ეს ორი გუნდი, „მაღაროელი“ და „ამერი“ უმაღლესში კუთვნილ ადგილს დაემშვიდობნენ. გუშინ კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა - თითქოს, „ბორჯომი“ დაიშალა და სასწრაფოდ აპირებენ გადაწყვეტილების მიღებას - უმაღლესი ლიგის ფორმატს ისევ შეცვლიანო, ანუ - 10 გუნდი ოთხ წრედ.

ვითარებაში გასარკვევად ვახტანგ მაისურაძეს დავუკავშირდით, რომელიც „ბორჯომის“ ფაქტობრივი მმართველია.

**- ბატონო ვახტანგ, რა მდგომარეობაა ამჟამად „ბორჯომში“?**

- ნორმალური. კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

**- ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს გუნდი დაიშალა და უმაღლესში ველარ ითამაშებს.**

- ვინ გითხრათ? არ დაიჯეროთ, სისულელეა. უმაღლესში მონაწილეობის თანხა ჩავრიცხეთ და ფინანსური პრობლემებიც ნაწილობრივ მოგვარდა.

**- ფეხბურთელები გაიქცნენო, და ვის იმედად ითამაშებთ?**

- ასეთი კატასტროფული მდგომარეობაც არაა. მოთამაშეებს ვიმატებთ. ახლა მეკარე შეყრილაძე დავიმატეთ, გორის „დილადან“ ოთხი მოთამაშე ჩამოვიყვანეთ, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან გვაქვს მოლაპარაკება.

**- ვინ აიყვანეთ შეყრილაძის გარდა?**

- გორელები - ტლაშაძე, ნოზაძე, ქარქოზაშვილი ისედაც ჩვენები იყვნენ, კიდევ - გვირჯიშვილი, კიკნაძე, ზაზა ლაცაბიძე. ასე რომ, საკმაოდ ბევრი გამოცდილი, საინტერესო მოთამაშე დავიმატეთ და მთლად უიმედოდაც არ ვართ. თუმცა, თავისთავად, უმაღლესში დასარჩენად უმძიმესი ბრძოლა მოგველის. ლიგიდან ხომ სამი გუნდი ვარდება.

დავუკავშირდით "ბორჯომის" მთავარ მწვრთნელ **ვლადიმერ ხაჩიძესაც**, რომელმაც გვითხრა, რომ გუნდიდან ორიოდე დღის წინ წამოვიდა და რა ხდება "ბორჯომში", კარგად არც უწყის.

"ბორჯომის" დაშლისა და მისი ლიგიდან გაგდების ამბავი პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმაც** უარყო.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი. რუსეთი

## დავით მუჯირი:

# სამარასთან სუფთა ვარ

რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალში მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ლიპეცკის „მეტალურგი“ სტუმრად 2:0 დაამარცხა. ორივე გოლი რკინიგზელთა ნახევარმცველმა დავით მუჯირმა გაიტანა. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი“ მერვედფინალში მუჯირმა გაიყვანა და ამ რაუნდში რკინიგზელთა მეტოქე „ვიტიაზი“ იქნება.

მუჯირი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ ჩანდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ სასტარტო შემადგენლობაში. მისი სასტარტოში გამწესება რუსულ პრესას არ გამოჰპარვია და მუჯირს რამდენიმე კითხვით მიმართა.

- ორივე გოლი მარცხენა ფეხით გავიტანე. არადა, ცაციათი იშვიათად გამაქვს გოლები. ტრავმის გამო ორთვიანი პაუზა მქონდა. სასტარტო შემადგენლობაში კარგა ხნის განმავლობაში არ მითამაშია. შესაბამისად, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, სასტარტოში რიხიანად დავბრუნებულიყავი.

**- ეს დუბლი სასტარტო შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ჩინებული განაცხადია...**

- იმედი მაქვს, ჩემი გარჯა დაფასდება. წინ კიდევ ნახევარი სეზონია და მჯერა, ძირითადში დამკვიდრებას შევძლებ.

**- უახლოესი თამაში სტუმრად „კრილიასთან“ გაქვთ. „ლოკომოტივამდე“ სამარელთა გუნდში ასპარეზობდი და ამ მატჩის წინ რაიმე განსაკუთრებული გრძნობა ხომ არ გიჩნდება?**

- „კრილია“ ჩემთვის უცხო გუნდი ნამვილად არ არის. ამ გუნდის ასპარეზობას დღემდე თვალს ვადევნებ და ყოფილ გუნდში მეგობრებსაც ხშირად ვესაუბრები ტელეფონით. თუმცა ახლა „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი გახლავართ და ვალდებული ვარ, ამ გუნდის წარმატებებისთვის გავისარჯო. „კრილიას“ ზედიზედ რამდენიმე თამაში არ წაუგია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შაბათს რთული მატჩი გველის.

**- სამარელი ქომაგების წინაშე მოგიწევთ თამაში. ხომ არ შიშობთ, რომ ისინი „ტკბილად“ არ დაგხვდებიან?**

- არა, ასე ნამდვილად არ იქნება. სამარელი ქომაგებისა და საერთოდ „კრილიას“ წინაშე სუფთა ვარ. „ლოკომოტივში“ გადასვლა ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**


დავით მუჯირი

ტრანსფერი

# სიონმა უზბეკებს ქვაჩახია დაასწრო


ზურაბ ქვაჩახია

თბილისის „ამერის“ ყოფილი მეკარე **ზურაბ ქვაჩახია** ახალი სეზონიდან ბოლნისის „სიონში“ ითამაშებს. ეს უკვე გადაწყვეტილია და ბოლნისელთა კლუბის მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმაც** დაგვიდასტურა.

„სიონმა“ ქვაჩახიას გადაბირება უზბეკეთის კლუბს დაასწრო. ანდიჟანის „დონდუნჯუს“ ქართველი მეკარე მოეწონა და მასთან კონტრაქტის გასაფორმებლად ქვაჩახიას საბუთებიც მოითხოვა საქართველოდან. თუმცა ბოლნისელებმა იმარჯვეს და ქვაჩახია გადაიბირეს. ეს ფაქტი იმითაცაა სასიხარულო, რომ ამ ბოლო ხანს საკმაოდ გახშირდა ჩვენი მოთამაშეების ტრანსფერები უზბეკეთისა და მის დარ ქვეყნებში. რისი მოტივიც ფინანსური დაინტერესებაა.

შესაძლოა, **ოთარ კორღალიძის** გუნდი „ამერის“ კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელით გაძლიერდეს. „სიონი“ ფორვარდ **რევაზ გოცირიძესთან** აწარმოებს მოლაპარაკებებს. ჭიპაშვილის თქმით, გოცირიძის საკითხი ამ დღეებში გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი გარიგება

# მანჩესტერ სიტი ისევ იყიდება?

## ჰიუზი ახალი სეზონისათვის გეგმის მიხედვით ემზადება



ტაქსინ შინავატრა

ტაილანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, **ტაქსინ შინავატრას**, "მანჩესტერ სიტის" დირექტორთა საბჭოდან გარიცხვა ემუქრება. ამ ინფორმაციაში უცნაური ისაა, რომ შინავატრა თვითონაა მანჩესტერული კლუბის მესაკუთრე. ტაილანდის სასამართლო შინავატრას კორუფციასა და ფულის გათეთრებაში ადანაშაულებს. პროცესი უკვე რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს. თუ მას დანაშაულს დაუმტკიცებენ, მკაცრი სასჯელი არ ასცდება. ინგლისის პრემიერლიგის რეგლამენტში კი პირდაპირ წერია, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე პირს პრემიერლიგის კლუბის დირექტორატში ყოფნის უფლება არ აქვს. ტაილანდში მიმდინარე სასამართლოს უცნაურად დაემთხვა სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ შინავატრას "სიტის" გაყიდვა სურს. მან ამ მიზნით რამდენიმე პოტენციურ ინვესტორთან მოლაპარაკებებიც გამართა. ეს ინფორმაცია ორიოდე დღის წინ "დეილი მეილმა" გაავრცელა. "სიტის" პრესსამსახური კლუბის მოსალოდნელი გაყიდვის თაობაზე კომენტარებს არ აკეთებს.

გუნდი კი, ამასობაში, ახალი სეზონისათვის მზადებას განაგრძობს. **მარკ ჰიუზს** შემადგენლობის გაძლიერება ჯერ არ დაუსრულებია. მანჩესტერელები მარსელის "ოლიმპიკს" დაუკავშირდნენ. ჰიუზს **ჯიბრილ სისესთან** საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება უნდა. "სიტისათვის" აგვისტოს მინურული გადატვირთული იქნება. რვა დღის განმავლობაში კლუბს ოთხი თამაშის ჩატარება მოუწევს, მათ შორის - ინგლისის ლიგის თასის მეორე რაუნდის მატჩის. არადა, ჰიუზი ამ თამაშის გადადებას ითხოვდა. ინგლისური ლიგის კანონმდებლობით, კლუბები, რომლებიც ინგლისს ევროპულ ტურნირებზე წარმოადგენენ, ლიგის თასზე მესამე რაუნდიდან ებმებიან. მოგეხსენებათ, "სიტიმ" უეფას თასის საგზური მოიპოვა, მაგრამ მასზე ეს შეღავათი არ გავრცელდა - რადგან კლუბმა უეფას თასზე ასპარეზობის უფლება არა სატურნირო მდგომარეობით, არამედ ფეარ ფლეის კონკურსში გამარჯვებით დაიმსახურა. მოკლედ, "ვესტ ჰემთან" პრემიერლიგის მატჩიდან 48 საათში, "სიტი" ლიგის თასზე ითამაშებს. 48 საათის შემდეგ, დანიაში გაემგზავრება და "მიდტიულანდს" შეხვდება; 72 საათის შემდეგ კი პრემიერლიგის მორიგ ტურში "სანდერლენდს" ესტუმრება.

ოთხშაბათ საღამოს, "სიტი" გლაზგოს ეწვია და "სელტიკთან" ამხანაგური მატჩი ჩაატარა, 1:1. სტუმრებმა პირველი ტაიმი უკეთ ჩაატარეს და მეორე ტაიმის დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში. გოლი **მარტინ პეტროვმა** გაიტანა, მაგრამ თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე **პოლ მაკგოვენმა** წონასწორობა აღადგინა. აქვე გეტყვით, რომ დასასრულს უახლოვდება მოლაპარაკებები "ტოტენჰემთან". "სიტის" ხორვატი მცველი **ვედრან ჩორლუკა** 7 მილიონ გირვანქად ლონდონში გადადის.



ჯორდების ახალწვეული
ფაბრისიო კოლოჩინი

არსენალი

# ვან პერსიმ ახალი კონტრაქტი მოითხოვა

## ვენგერი მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილია

მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარა "არსენალმა". "მეთოფეებს" "ჰადერსფილდის" სახით მოკრძალებული მეტოქე ჰყავდათ და მოკრძალებული სხვაობითაც დაამარცხეს, 2:1. მომდევნო კვირაში ლონდონელები "ტვენტესთან" ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ მატჩს ჩაატარებენ. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელთა მთავარი მწვრთნელია ინგლისის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **სტივ მაკლარენი**. "ტვენტემდე" "არსენალი" კიდევ ორ საკონტროლო შეხვედრას გეგმავს - დღეს "აიაქსთან" და ხვალ "სევილიასთან".

**არსენ ვენგერს** არ დაუმალავს, რომ "ჰადერსფილდთან" მატჩისას მისმა გუნდმა სათანადო დონე ვერ აჩვენა. ამის მიუხედავად, ფრანგ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ახალი სეზონისათვის მზადება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს: *"მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ვარ. როგორც იცით, ზოგიერთი ფეხბურთელი 21 ივლისს შემოგვიერთდა. მათ ოპტიმალურ ფორმაში ჩასადგომად მეტი ვარჯიში სჭირდებათ. სწორედ ამ მიზნით დავგეგმეთ ამხანაგური თამაშების მთელი სერია."*

ის, რომ "არსენალმა" სუსტ მეტოქესთან უფრო მეტი გოლი ვერ გაიტანა, მის შემადგენლობასაც უნდა დაჰბრალდეს. თავად განსაჯეთ, "მეთოფეების" გუნდში 19 წლის **თეო უოლკოტი** ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი იყო. სანამ შემადგენლობას გაეცნობით, გეტყვით, რომ "ჰადერსფილდმა" ანგარიში **ჯეიმს ბერეტის** გოლით გახსნა. საპასუხო გოლი **სანჩეს უოტმა** შეაგდო, გამარჯვების ბურთი კი **ნასერ ბარაზიტმა** გაიტანა. აი, "არსენალის" ფეხბურთელთა სიაც: *ფაბიანსკი, გევინ ჰოიტი, ჯასტინ ჰოიტი, ჯურუ, გიბსი, ლენსბერი, რემსი, რენდალი, უილშირი, უოლკოტი, ველა (შეცვლაზე შევიდნენ: ჯერ სიმპსონი, უოტი, ბარაზიტი, მენონი, ემანუელ-ტომასი, ფონტი, ფრიმპონგი, ბარტლი და ნორდვეიტი).*

აქვე კიდევ ორი ინფორმაცია "არსენალის" ბანაკიდან. **რობინ ვან პერსი** მზადაა, კლუბთან ახალი ხელშეკრულება გააფორმოს. 25 წლის ფეხბურთელს ხელშეკრულებაში სამი წელი აქვს დარჩენილი, მაგრამ მას ხელფასის მომატების იმედი აქვს. არცაა გასაკვირი: მის პარტნიორს, **ემანუელ ადებაიორს**, გუნდში დარჩენის სანაცვლოდ, ანაზღაურება ორჯერ გაუზარდეს. ვან პერსის უსამართლოდ მიაჩნია ის, რომ ტოგოელმა ფორვარდმა მასზე მეტი გამოიმუშაოს. ცნობისათვის, ჰოლანდიელ ვარსკვლავს ბოლო ორი წელია, ქრონიკული ტრავმები აწუხებს, თუმცა ამ წინასასეზონო ეტაპზე არც ერთი მატჩი არ გამოუტოვებია.


რობინ ვან პერსი ხელფასის მომატებას ითხოვს

"არსენალი" **გარეთ ბერის** ყიდვის იმედს არ კარგავს. "ასტონ ვილის" კაპიტანს "ლივერპული" ეპატიჟება, მაგრამ კლუბები ფასზე შეთანხმებას ვერ ახერხებენ. ბირმინგემელები ჯიუტად ითხოვენ 20-22 მილიონ გირვანქას (სხვადასხვა წყაროს ცნობით), "ლივერპულს" კი მხოლოდ 15-17 მილიონის გადახდა სურს და მზადაა, **სტივ ფინენიც** "ვილას" გადაულოცოს. როგორც ჩანს, თანხის ბოლომდე გადახდას არც "არსენალი" აპირებს. ის ბირმინგემულ კლუბს ორ ახალგაზრდა განაპირა მცველს, **ჯასტინ ჰოიტსა** და **არმან ტრაორეს** შესთავაზებს. "მეთოფეები" "კორინთიანსის" ახალგაზრდა თავდამსხმელ **დენტინიოსაც** აკვირდება. ამ 19 წლის ყმაწვილს საუდის არაბეთის კლუბმა, "ალ ჰილალმა" სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ დენტინიოს ევროპაში გადასვლა უნდა.

ნიუკასლი

# კოლოჩინი სენტ ჯეიმსზე

"ნიუკასლმა" არგენტინელი **ფაბრისიო კოლოჩინი** შეიძინა. გარიგება რამდენიმე დღის განმავლობაში მზადდებოდა. პირველი ინფორმაცია, კოლოჩინის მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე, ორშაბათს გავრცელდა. მაშინვე დაასახელეს გარიგების სავარაუდო ღირებულებაც - 10 მილიონი გირვანქა. ინგლისური ტაბლოიდების ინფორმაცია ზუსტი აღმოჩნდა. ლა კორუნიის "დეპორტივო" სწორედ ამდენს მიიღებს. 26 წლის კოლოჩინი "დეპორტივოში" 2005 წლის იანვარში ჩაირიცხა. იქამდე ის "მილანის" საკუთრება იყო, მაგრამ "როსონერიში" ფეხის მოკიდება ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ესპანური კარიერა კარგად აეწყო და პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი გახდა.

კოლოჩინის ტრანსფერის დღეს, "ნიუკასლმა" "ეინდჰოვენთან" ამხანაგური მატჩი ჩაატარა. უხვგოლიანი შეხვედრა 2:2 დასრულდა. **მაიკლ ოუენს** არ უთამაშია. ეს მოსალოდნელიც იყო. კოჭის ტრავმის გამო, ინგლისის ნაკრების თავდამსხმელს მთელი მოსამზადებელი ეტაპი გაუცდა. მაიკლს "ნიუკასლთან" კონტრაქტი გაისად ეწურება. **კევინ კიგანმა** კლუბის ბოსს, **მაიკ ეშლის** სთხოვა, იზრუნოს მისი ხელშეკრულების გაგრძელებაზე, რათა ოუენმა კარიერა "სენტ ჯეიმს პარკზე" დაასრულოს. ქრონიკული ტრავმების მიუხედავად, მაიკლი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. მას კვირაში 100 ათას გირვანქას უხდიან. მიმომხილველები ეჭვობენ, რომ ახალი ხელშეკრულების შეთავაზების შემთხვევაში, ოუენს დაკლებული შემოსავლით მოუწევს დაკმაყოფილება.

რაც შეეხება უშუალოდ "ეინდჰოვენთან" თამაშს, "ნიუკასლი" ორბურთიანი სხვაობით იგებდა. ინგლისელთაგან გოლები **სტივ ტეილორმა** და **დენი გუტრიმ** გაიტანეს, მაგრამ დაცვის სუსტი თამაშის გამო, ჯერ **რეიმონდ მარკომ** და შემდეგ **ნორდინ ამრაბატმა** ორივე ბურთი გაქვითეს.

ინგლისის სუპერთასი

# რატომ შეიცვალა მსაჯი?



მარკ კლეტენბურგის სეზონის პირველი მატჩს ველარ განსჯის

კვირას ინგლისის სუპერთასია. "მანჩესტერ იუნაიტედი" "პორტსმუთს" ეთამაშება. თამაშს "უემბლი" უმასპინძლებს. ორგანიზატორები სრულ ანშლაგს ელოდებიან. სუპერთასის ანუ ჩერითი შილდის მატჩით, ინგლისში ოფიციალურად გაიხსნება ახალი სეზონი. ეს შეხვედრა ცნობილ ინგლისელ არბიტრს, **მარკ კლეტენბურგს** უნდა განესაჯა, მაგრამ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ კლეტენბურგი თამაშიდან მოხსნა. მის მოვალეობას **პიტერ უოლტონი** შეასრულებს.

ინგლისური ტაბლოიდების მტკიცებით, კლეტენბურგის დისკვალიფიკაციის მიზეზი ისაა, რომ მსაჯს სოლიდური ვალები დაუგროვებია. ეს ინფორმაციაც ყვითელი პრესით გავრცელდა. საფეხბურთო ასოციაციამ მისტერ მარკი თავისთან დაიბარა და ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. ინფორმაცია დადასტურდა. კლეტენბურგის ვალების წარმომავლობის თაობაზე არავის არაფერი უთქვამს, თუმცა საფეხბურთო ასოციაციამ, ყოველგვარი ეჭვების გაფანტვის მიზნით (რომ მსაჯს, შეიძლება, სულმა წასძლიოს და სოლიდური თანხის სანაცვლოდ ვილაცას გაურიგდეს), მიიღო ის გადაწყვეტილება, რის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ. ასოციაცია გამოძიებას გააგრძელებს. მოგვიანებით გაირკვევა, დართავენ თუ არა კლეტენბურგს პრემიერლიგის ახალ სეზონში მუშაობის ნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ტრანსფერები დამთავრდა

## ეშმაკებისა და ქალბატონის უგოლო დაპირისპირება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **სერ ალექს ფერგიუსონი** შემადგენლობის გაძლიერებას ალარ აპირებს. "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს მიაჩნია, რომ საკმარისად ძლიერი გუნდი ჰყავს, რათა ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება მოახერხოს. ეს ინფორმაცია ყველაზე მეტად **დიმიტარ ბერბატოვს** დასწყვეტს გულს. ბულგარელ თავდამსხმელს ბოლო წუთამდე იმედი ჰქონდა, რომ კლუბები ფასზე მორიგდებოდნენ და ის "ოლდ ტრეფორდს" მიაშურებდა. მამლებმა 30 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. "ეშმაკები" ამ თანხის გადასახდელად მზად არ აღმოჩნდნენ.

კვირას "იუნაიტედი" სეზონის პირველ ოფიციალურ თამაშს გამართავს. ინგლისის სუპერთასზე, რომელსაც ალბიონზე "ჩერითი შილდსს" უწოდებენ, "მანჩესტერი" "პორტსმუთს" შეხვდება. ოთხშაბათ საღამოს კი "ეშმაკებმა" ბოლო ამხანაგური თამაში ჩაატარა. "ოლდ ტრეფორდს" "იუვენტუსი" ეწვია. გრანდების დაპირისპირების სანახავად სტადიონზე 70 ათასი მაყურებელი მივიდა, მაგრამ იმედგაცრუებული დარჩა. გუნდებმა ინერტულად ითამაშეს და უგოლო ფრეს დასჯერდნენ.

მოგეხსენებათ, "მანჩესტერ იუნაიტედს" საკადრო პრობლემები აქვს. ავადმყოფობის გამო, გუნდს ცხრა ფეხბურთელი აკლია. ამის მიუხედავად, ტურინელებთან მატჩში ფერგიმ საკმაოდ გამოცდილი ძირითადი შემადგენლობა შეკრიბა. ამ 11 კაციდან, გასულ სეზონში, 24 თამაშზე ნაკლები მარტო **ლი მარტინმა** ჩაატარა. შეხვედრას ცნობილი ინგლისელი არბიტრი **მარკ ჰელსი** გაუძღვა. მეორე ტაიმის დასაწყისში, ახალგაზრდა ბრაზილიელი მცველი **რაფაელ და სილვა** იტალიელთა საჯარიმოში წაიქცა. ჰელსიმ პენალტი არ დანიშნა. ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს **დარენ ფლეტჩერმა, კარლოს ტევესმა** და **ჯონ ოშიმ**. ერთი მომენტი ჰქონდა **ალექს დელ პიეროსაც**. **მაურო კამორანეზიმ** ის ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. დელ პიერომ ბურთი გაისწორა და კარგად დაარტყა, მაგრამ ოშიმ ის ცარიელი კარიდან გამოიტანა. გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

***იუნაიტედი:*** *ვან დერ სარი, ევრა, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი (78. ევანსი), ბრაუნი (46. რაფაელ და სილვა), ფლეტჩერი (46. გიბსონი), სქოულზი, ოში (69. პოსებონი), ლი მარტინი (65. სილვესტრი), გიგზი, ტევესი (69. ფრეიზერ კემპბელი).*

***იუვენტუსი:*** *ბუფონი, გრიგერა, მოლბერგი, ლეგროტალიე, კიელინი, კამორანეზი (61. მარკიონი), პოულსენი (89. ტიაგო), სისოკო (82. ეკდალი), სალიჰამიჯიჩი (74. როსი), იაკვინტა (46. დე ოლივეირა), დელ პიერო (71. ტრეზეგე).*

ინტერი

# მოურინიო კვარეშმას მაინც ელოდება

## სუასოს, კრესპოსა და პელეს ტრანსფერზე დააყენებენო...

**ჟოზე მოურინიოს რიკარდო კვარეშმაზე** ხელი ჯერ არ აუღია. "ინტერის" მწვრთნელმა გადაწყვიტა, ტრანსფერზე დააყენოს რამდენიმე ფეხბურთელი და ამ გზით, პორტუგალიელი გარემარბისთვის სამყოფი ფული შეაგროვოს. როგორც ამბობენ, ზედმეტი მოთამაშეების სიაში **დავიდ სუასო, ერნან კრესპო** და **პელე** აღმოჩნდნენ. ეს ინფორმაცია "გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა.

დიდი ხანია, მოურინიო ნახევარდაცვის გაძლიერებას ცდილობს. ორიოდე კვირის წინ, მილანელებმა "პორტსმუთის" განელი ვარსკვლავი **სული მუნტარი** შეიძინეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი საკმარისი არ აღმოჩნდა. ჟოზეს კლუბის ხელმძღვანელთა მხარდაჭერა გარანტირებული აქვს.

კვარეშმა "პორტუს" საკუთრებაა. პორტუგალიური კლუბი მის სანაცვლოდ 27 მილიონ ევროს ითხოვს. "ინტერს" მიზნის მისაღწევად დრო 31 აგვისტომდე აქვს. მოგეხსენებათ, სწორედ ამ დღის 24 საათზე დაიხურება ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა. როგორც იცით, "ინტერიდან" ნახევარმცველ **დეიან სტანკოვიჩის** აბარგება ცაა მოსალოდნელი. სპეკულაციების თანახმად, სერბი "იუვენტუსს" მიაშურებს. "ბებერ ქალბატონს" ეს სიამოვნება 8 მილიონი ევრო დაუჯდება. ეს თანხაც, რა თქმა უნდა, კვარეშმას ტრანსფერში დაიხარჯება.



რიკარდო კვარეშმა



ინტერვიუ ული ჰიონესთან

# აბრამოვიჩი ყარს!

## ული დარწმუნებულია: სამი ფორვარდიც საკმარისია

**ხუთი** კვირაა, რაც მიუნხენის "ბაიერნმა" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. ვერ ვიტყვით, რომ რეკორდმაისტერში ყველაფერი კარგად მიდის, რადგან იურგენ კლინსმანის გუნდმა ტესტ-მატჩებში არც თუ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ესეც არ იყოს, კლინსის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ტრავმირებული ჰყავს. მიუნხენელთა გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი გამოცემა "სპოქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში კლინსმანის ფილოსოფიაზე, ლუკას პოდოლსკის მომავალზე, "ბაიერნის" ახალ სტრატეგიაზე და რომან აბრამოვიჩის მაფიაზე საუბრობს.

**- ჰერ ჰიონეს, წინ მორიგი სეზონია, რომელიც რიგით 30-ე იქნება მას მერე, რაც "ბაიერნის" მენეჯერი გახდით. საინტერესოა, როგორი განწყობილებით ხვდებით ახალ სეზონს. იქნებ, ეს ყველაფერი თქვენთვის უკვე რუტინად იქცა?**

- რუტინა? არავითარ შემთხვევაში. ახალი სეზონის დაწყებას ყოველთვის მოუთმენლად ველი. სხვა დანარჩენი კი იგივეა, წლების განმავლობაში არაფერი იცვლება. ჩვენც ბევრი რამ შევცვალეთ, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ და გვყავს ახალი სამწვრთნელო შტაბი. ფანების მხრიდან მოლოდინი უდიდესია, შეიძლება უფრო დიდიც კი, ვიდრე ოდესმე. განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვბრუნდებით. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გულშემატკივრები 100 პროცენტით კმაყოფილები დარჩნენ.

**- თქვენ ჩვენზე უკეთ იცით, რა არის ამისათვის საჭირო: გერმანიის ჩემპიონობა, თასისა და ჩემპიონთა ლიგის მოგება...**

- უდიდესი მიზნების დასახვა არაფერში გვჭირდება. ჩემპიონთა ლიგა ისეთი ტურნირია, რომ შესაძლოა, მერვედფინალში "ბარსელონა", "რეალი" ან "ჩელსი" შეგხვდეს. ასეთ შემთხვევაში კი ძალიან მალე ტურნირს მიღმა აღმოჩნდები. მოლოდინთან ერთად, წნეხიც ისეთი მძიმეა, როგორიც არასდროს. ყველაფერთან ერთად, ბუნდესლიგაში მხოლოდ ქულების დაგროვება საკმარისი ალარ არის. "ბაიერნმა" თამაშიც უნდა მოიგოს და კარგი ფეხბურთიც ითამაშოს. მაგრამ კარგი წინათგრძნობა მაქვს – მწვრთნელები ძალიან კარგად მუშაობენ.

**- ანუ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ იურგენ კლინსმანი წარმატებებს მიაღწევს?**

- წინასწარ ამის თქმა ყოველთვის შეუძლებელია. ფაქტი ის გახლავთ, რომ წარმატების მისაღწევად ყველა წინა პირობაა შექმნილი. იურგენს ძალიან კარგი საფეხბურთო ფილოსოფია აქვს და ყველას გვჯერა, რომ წარმატებული მწვრთნელი იქნება. ჩვენი შემადგენლობა ჩვენი კაპიტალია. თუ კლინსმანის გეგმა გაამართლებს და ამ ფეხბურთელებს პროგრესი ექნებათ, კაპიტალიც ისე გაიზრდება, რომ ბევრი ფულის დახარჯვა ალარ დაგვჭირდება.

**- როგორ ფიქრობთ, გუნდი ახალ სეზონს სრულ მზადყოფნაში შეხვდება?**

- რომ გითხრათ, ყველაფერი ოპტიმალურადაა-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. საკმაოდ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვყავს ტრავმირებული - ფრანკ რიბერი, ლუკა ტონი, ტიმ ბოროვსკი, ვილი სანიოლი. ახლა მარტინ დემიკელისმაც ტრავმა მიიღო. განსაკუთრებით მტკივნეული ტონის ტრავმაა. ისე, ისიც ალსანიშნავია, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დიდ გუნდებს სეზონის წინ ყოველთვის უჭირთ ხოლმე. ის მოთამაშეები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატიდან გავარდნენ, ცუდ ხასიათზე არიან ხოლმე. არც ისაა გასაკვირი, რომ ტესტ-მატჩებში კარგი შთაბეჭდილება ვერ დავტოვეთ, რადგან გუნდი ამხანაგურ შეხვედრებს ძალიან კარგად ვერასდროს ატარებს. მაგრამ ეს პრობლემები დღესდღეობით მხოლოდ "ბაიერნს" არ აქვს.

**- სხვათა შორის, ტონის ტრავმის გამო, ლუკას პოდოლსკის შეუძლია ქულების ჩაწერა. თქვენ რას ელით პოლდისგან?**

- მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ტონის ტრავმა, დარწმუნებული ვარ, რომ პოდოლსკისთვის ეს სეზონი ძალიან წარმატებული იქნება. სხვათა შორის, ლუკასმა გასული სეზონის მეორე წრეში საკმაოდ ნორმალურად იასპარეზა და რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლის გატანა შეძლო. მერე ევროპის ჩემპიონატზეც გაიბრწყინა და თუ ამ გზას გააგრძელებს, მისით აბსოლუტურად ყველა კმაყოფილი იქნება. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ პოდოლსკი "ბაიერნში" ბედნიერი იყოს. ჩვენს გუნდში დაუშვებელია, რომ რომელიმე ფეხბურთელმა არ მოინდომოს და არ ითამაშოს. მაგალითად, ტიმ ბოროვსკისგანაც მხოლოდ იმას ველით, რომ თავიდანვე ძალიან მოტივირებული იქნება. ვინც "ბაიერნთან" კონტრაქტს აფორმებს, ისიც უნდა იცოდეს, რომ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ მაქსიმუმს გაიღებს და ერთი წამითაც არ მოდუნდება.

**- კლინსმანი პირდაპირ ამბობს, რომ მისი მიზანი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაა. მას მერე, რაც რეკორდმაისტერმა ჩემპიონთა ლიგა უკანასკნელად მოიგო (2001 წელს), ამ ტურნირს შვიდი სხვადასხვა გამარჯვებული ჰყავდა. ევროპული ფეხბურთი კიდევ უფრო გათანაბრდა თუ, რაშია საქმე?**

- გეთანხმებით, გათანაბრდა. იმის გამო, რომ გრანდებმა უდიდესი ინვესტიციები ჩადეს, ალარ არსებობენ ისეთი სუპერგრანდები, როგორიც ერთ დროს ამსტერდამის "აიაქსი" იყო, ან - "ბაიერნი" 70-იან წლებში. თანაბარი დონე შესანიშნავი მიღწევაა, ხოლო რაც შეეხება დიდ ინვესტიციებს, არ ვიცი, კარგია თუ არა ეს ფეხბურთისთვის.

**- ეს რატომ არ მოგწონთ?**

- კვირაში ერთხელ მანქანაში ბენზინს ვასხამ და ნერვები მეშლება, რომ ეს მაფია ძალიან ბევრ ფულს მართმევს, რათა მერე ფეხბურთელებში დიდი ფული გადაიხადოს. ამ ყველაფერს ძალიან ცუდი სუნი ასდის, შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთი უკვე ყარს. ეს, პირველ რიგში, აბრამოვიჩს ეხება.

**- "ჩელსის" ბოსი თქვენი მეგობარი ნამდვილად არ არის.**

- არა! ეს არის მაფია, რომელიც მსოფლიოს მართავს და საწვავის ფასით მანიპულირებს. ამ ყველაფერს დიდხანს ვერ გავუძლებ.

**- და რას მოიმოქმედებთ?**

- ჩვენ, სუფთა გუნდებმა "ჩელსი" აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. ეს საკმარისი იქნებოდა.

**- მაგრამ თქვენ გუნდში ხომ მხოლოდ სამი თავდამსხმელი გყავთ?**

- სამი ფორვარდი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ყველა "დააკმაყოფილო".

**- ეს ფრაზა როგორ გავიგოთ?**

- ყველა, ვინც ითხოვს, რომ "ბაიერნმა" მეოთხე თავდამსხმელი უნდა იყიდოს, ფაქტობრივად, ტყუილად ირჯება. ეს ყველაფერი შარშანდელ სეზონს მახსენებს, როცა გაზეთებში თითქმის ყოველდღიურად იწერებოდა პოდოლსკის შესახებ - მიუხედავად იმისა, რომ პოლდი ძირითად შემადგენლობაში არასდროს თამაშობდა.

**- "ბაიერნს" ჰყავს ახალგაზრდა თავდამსხმელი თომას მიულერი, რომელიც ძალიან პერსპექტიულია.**

- იურგენ კლინსმანის იდეაა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ. გასულ სეზონში ჩვენ გვყავდა იან შლაუდრაფი, რომელიც, მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელია. მაგრამ მან მთელი სეზონი სკამზე გაატარა. მაშინ გეკითხებით, რად გვინდა მეოთხე თავდამსხმელი? ვიმეორებ: სამი ფორვარდიც საკმარისია. ჩვენ ყოველთვის იმაზე ვოცნებობდით, რომ რაც შეიძლება მეტი ჩვენ მიერ გამოზრდილი ფეხბურთელი გვყოლოდა და მათ დიდი ფეხბურთი ეთამაშათ. რამდენიმე მაგალითი სახეზეა: ჰარგრივსი, ლელლი, რენზინგი, ოტლი, შვაინშტაიგერი, კროოსი – ესენი ყველანი "ბაიერნის" გაზრდილები არიან. აგერ, ჰარგრივსი 25 მილიონ ევროდ გავყიდეთ...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. მარიო ბასლერის
ყოველწლიური პრევიუ. ვერდერი და ჰამბურგი

# ბრემენიდან მუსიკის ხმა აღარ ისმის

## ჰამბურგში კი თვითონაც არ იციან, რა უნდათ...

SUPER MARIO GIBT GAS





### ვერდერი მარიოს თვალით

**ოპტიმალური შემადგენლობა:** ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ბოენიში, იენსენი, ფრინგსი, დიეგო, იოზილი, როზენბერგი, ალმეიდა.
**მწვრთნელი:** თომას შააფი (47 წლის)
**მიზანი:** გერმანიის ჩემპიონობა
**ადგილები წინა სეზონებში:** 2008: მე-2; 2007: მე-3; 2006: მე-2.
**პირველი სამი მატჩი:** არმინია (სტუმრად), შალკე (შინ), გლადბახი (ს)

### ჰამბურგი მარიოს თვალით

**ოპტიმალური შემადგენლობა:** როსტი, ბოატენგი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, პიტროიპა, იაროლიმი, დე იონგი, ტროხოვსკი, ოლიჩი, გერერო.
**მწვრთნელი:** მარტინ იოლი (52 წლის)
**მიზანი:** უეფას თასი, ჩემპიონთა ლიგა
**ადგილები წინა სეზონებში:** 2008: მე-4; 2007: მე-7; 2006: მე-3.
**პირველი სამი მატჩი:** ბაიერნი (სტუმრად), კარლსრუე (შინ), არმინია (ს)



**მარიო ბასლერი, ბილდი**

ახლახან სახლი ავაშენე. სამსართულიანი სახლი. მერე გადავწყვიტე, პირველი სართული გამომეცალა, თან ისე, რომ სახლი არ დანგრეულიყო. ცხადია, სულ ტყუილად გავისარჯე - სამივე სართული თავზე დამემხო და ახლა სამოთხიდან გესაუბრებით. რატომ გავაკეთე ეს? უბრალოდ, მინდოდა გამეგო, რა დაემართება "ჰამბურგს" ამ სეზონში...

**რაფაელ ვან დერ ვაარტი** წავიდა. მადრიდის გზას გაუდგა და როგორც იქნა, უბედნიერესი ადამიანია. "ჰამბურგისთვის" ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია. ის ყველაზე მაგარი ჰოლანდიელი იყო **რუდი კარელის** შემდეგ. რაფაელის წასვლით ბუნდესლიგამ უდიდესი სუპერვარსკვლავი დაკარგა, "ჰამბურგმა" კი - საძირკველი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ "ჰამბურგში" სიმშვიდე შეინარჩუნეს, იქ ამ ტრანსფერის გამო ქაოსი ჯერ არ დაწყებულა და იმედია, არც დაიწყება, რადგან ეს მხოლოდ უარეს შედეგს მოიტანს.

რაფაელი კარგი ბიჭია, მაგრამ მე მას ყველაფერში ვერ ვენდობოდი და ყველაფერს ვერ დავუჯერებდი. ის, რომ "რეალში" გადასვლა მოინდომა და გადავიდა კიდეც, აბსოლუტურად გასაგები და მისაღებია – სად "რეალი" და სად "ჰამბურგი"?! მაგრამ ერთი რამ გულში ხინჯად ჩამრჩა: ვან დერ ვაარტი სულ ამბობდა, "ჰამბურგი" ჩემი სიყვარულიაო და ამ დროს, ერთი წლის წინ "ვალენსიის" მაისურით გადაიღო ფოტოები და "მესტალიაზე" გარბოდა (კიდევ კარგი, რომ არ გაუშვეს), ახლა კი "რეალში" აახვია.

ეს იგივეა, რაფაელმა თავის უმშვენიერეს მეუღლე **სილვის** ასეთი რამ რომ უთხრას: *"შენ ჩემი უდიდესი სიყვარული ხარ, შენ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, ჩემი გული და სული ხარ, მაგრამ არ გამიბრაზდე, აგერ, ის წითური გოგო ძალიან მომწონს... არა, უმჯობესია, აი, იმ შავგვრემანთან მივიდე. ნახე, რა ლამაზია!"*

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვან დერ ვაარტს წარმატებებსა და ბედნიერებას ვუსურვებ. შენ ბუნდესლიგას ლაზათი შემატე, ბიჭუნი! შენ, შენი ფეხბურთით და სილვიმ თავისი სილამაზით, გერმანიის ჩემპიონატი გამოაცოცხლეთ. კარგად იყავი, რაფაელ, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული...

ახლა "ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა ხელები უნდა დაიკაპიწონ და საქმეს შეუდგნენ. პირველ რიგში, ეს ბოს **დიტმარ ბაიერსდორფერს** ეხება. ფაქტია, რომ ვან დერ ვაარტის წასვლის შემდეგ, "ჰამბურგს" სამი ახალი ფეხბურთელი სჭირდება: კაპიტანი, გამთამაშებელი და პუბლიკის უსაყვარლესი მოთამაშე. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ჰერ ბაიერსდორფერს ამ სამი მოთამაშის ძებნისას წარმატებებს ვუსურვებ. ფაქტია, რომ ვან დერ ვაარტი სამივე იყო.

ცოტა ცინიკურად გამომივიდა, მაგრამ რა ვქნა, თუნდაც მწვრთნელის მაგალითი მეტყველებს იმაზე, თუ რას წარმოადგენენ ამ გუნდის შეფები. ფაქტია, რომ გუნდის სკაუტინგის განყოფილებამ ამ საკითხში მაგრად ჩაისვარა. თავად განსაჯეთ: ექვსი თვის განმავლობაში ვინმე მისტერ X-ს ეძებდნენ და ძალიან ამაყობდნენ იმით, რომ ახალი მწვრთნელის შერჩევისას განსაკუთრებულ ასპექტებს ანიჭებდნენ მნიშვნელობას. ისე ტრაბახობდნენ და ისეთი სერიოზული სახეებით ლაპარაკობდნენ, მეგონა, თვით **ჟოზე მოურინიოს** ჩამოიყვანდნენ, და ბოლოს, დანიშნეს მწვრთნელი, რომელიც მანამდე შვიდი თვის განმავლობაში უმუშევარი იყო(?).

რა მშვენიერია, არა? საინტერესოა, სად და როდის აკვირდებოდნენ **მარტინ იოლს** ჰოლანდიაში? იმ დროს, როცა ყველს ყიდულობდა? თუ იმ დროს, როცა ტიტებს რწყავდა?

იოლის ამოცანა ის იქნება, რომ ვან დერ ვაარტის როლი ორ ფეხბურთელს შეუთავსოს: **პიოტრ ტროხოვსკისა** და **დავიდ იაროლიმს**. ან იქნებ ბაიერსდორფერმა ჯიბეზე ხელი გაიკრას და ვინმე იყიდოს? ფაქტია, რომ მადრიდიდან დიდი ფული წამოვიდა და დიტმარი ვერ დაიჩივლებს, ფული არ მაქვსო.

დიტმარ, სანამ რომელიმე ფეხბურთელში დიდი ფულის გადახდას გადაწყვეტ, დამირეკე. კაპიტნის სამკლავური ძალიან მომიხდება. ფაქტია ისიც, რომ ფანებს მაშინვე ძალიან შევუყვარდები და თანაც, ფეხბურთში აქტიური მეც დიდი ხანია, აღარ ვყოფილვარ – ზუსტად ისე, როგორც მარტინ იოლი.

სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ბრემენის "ვერდერის" მენეჯერიც ნერვებს მიშლის. **კლაუს ალოფსმა** შარშან და წელს იმედები გამიცრუა. ეს კი ჩემთვის პატარა ამბავი არ არის, რადგან ალოფსს ისე ვენდობოდი, რომ მისგან **შუმახერის** მიერ დამტვრეულ მანქანასაც კი ვიყიდდი იმ იმედით, რომ მეორე დღეს ოჯახთან ერთად დასასვენებლად გავემგზავრებოდი. და რა ხდება დღეს? კლაუსს წელიწადზე მეტი სჭირდება იმისათვის, რომ იყიდოს ნორმალური თავდამსხმელი, რომელიც B და C კატეგორიის არ იქნება.

ცხადია, **მარკუს როზენბერგი** და **უგო ალმეიდა** ბრმა ფორვარდები არ არიან და იქნებ, ორ წელიწადში გოლების გატანაც დაიწყონ, მაგრამ "ვერდერი" უკვე ისეთი გუნდია, რომელიც თავდამსხმელების მომწიფებას ვერ დაელოდება. ალოფსი ახლავე საქმეს უნდა შეუდგეს, სასწრაფოდ! ჩემპიონთა ლიგაში ასეთი თავდასხმით არაფერი ესაქმება. როზენბერგითა და ალმეიდათი ბრემენელ "მუსიკოსებს" ჯგუფშივე დაეკარგებათ სმენა. გერმანიის ჩემპიონობა ხომ გამორიცხული და გამორიცხულია.

დასალაგებელია ნახევარდაცვაც. აგერ, **დიეგოს რაფინიას** სინდრომი შეეყარა და პეკინში გაიქცა, სადაც ალბათ, ოქროს მოიგებს, მერე ბრემენში დაბრუნდება და პირში ჩალაგამოვლებული ირბენს. სხვათა შორის, რაფინიას დარად, თანაგუნდელები ვარჯიშებზე მასაც მაგრად დასჯიან. **ფრანკ ბაუმანი** ძალიან ბებერი და უკვე უმაქნისია. მარტო **ტორსტენ ფრინგსით** კი შორს ვერ წახვალ. ეს კაცი ათ ნაწილად ვერ გაიყოფა.

ჰამბურგულად ვიმედოვნებ, რომ აგვისტოს ბოლოს ვეზერთან გაივლის "ვერდერის" ავტობუსი, სადაც ორი ახალი, მაგარი ფეხბურთელი იქნება. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება "ვერდერს" შანსი, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლოს, კლაუს ალოფსმა კი თავისი იმიჯი გადაარჩინოს. ფაქტია, რომ "მუსიკოსები" უფულობას არ უჩივიან. ასე რომ, ჰერ ალოფს, ფეხზე წამოდექით! გეყოთ ძილი! თორემ სულ მალე თქვენც თავზე დაგემხობათ ყველაფერი ის, რაც ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ააშენეთ.

ერთი სიტყვით, გნებავთ, "ვეზერი" აიღეთ და გნებავთ "ელბა", ორივეგან ერთი პრობლემაა: არც ერთ გუნდში არ არიან ისეთი ახალი ფეხბურთელები, რომლებიც ეიფორიას შემოიტანენ. ერთი და იმავე მსახიობებით კი ყოველთვის კარგ ფილმებს ვერ გადაიღებ.

თუ არაფერს მოიმოქმედებენ, "ვერდერი" პირველ ან მეორე ადგილზე კი არა, მესამეზე გავა. "ჰამბურგი" კი მეექვსე ადგილს დაიკავებს, და ისიც იმ შემთხვევაში - თუ ძალიან გაუმართლებს...

მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ბარსელონა

# პეპმა ეტოო დაიტოვა

**სამუელ ეტოოს** საკითხს ნათელი მოეფინა. ყოველ შემთხვევაში, ესპანური პრესა გვამცნობს, რომ **პეპ გვარდიოლამ** კამერუნელ ფორვარდს მწვანე შუქი აუნთო. როგორც იცით, ახალი მთავარი მწვრთნელის მოსვლის პირველსავე დღეებში სამუელს პოზიციები შეერყა. პრესაში მისი წასვლის შესახებ ლაპარაკი დაიწყეს. რამდენიმე დღეში თავად გვარდიოლა გამოვიდა ავანსცენაზე და დაუფარავად თქვა, **რონალდინიო** და **ეტოო** არ მჭირდებიანო. გაუჩო "მილანის" საკუთრებაა. სამუელის საკითხს კი მხოლოდ გუშინ მოეფინა ნათელი. აი, რას ვკითხულობთ "დიარიო სპორტის" პუბლიკაციაში: *"სანდო წყაროებზე დაყრდნობით, სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ პეპ გვარდიოლამ უკან დაიხია და სამუელ ეტოო "ბარსელონაში" დატოვა. მთავარმა მწვრთნელმა ჩიკი ბეგირისტაინისა და ჟოან ლაპორტას ზეწოლას ვერ გაუძლო. პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი დარწმუნდნენ, რომ სამუელის გაყიდვა კლუბისთვის ფინანსურად წამგებიანი იქნებოდა, რადგან ამ ფასად მის ღირსეულ შემცვლელს ვერ შეიძენდნენ. ასეა თუ ისე, პეპმა ხელმძღვანელებს ანგარიში გაუწია. შესაძლოა, ეტოოს პოზიციები პრეტემპორადაზე კარგმა ასპარეზობამაც გაამყარა. აფრიკელი ფორვარდი ამხანაგურ შეხვედრებში ფანტასტიკურად გამოიყურება. ერთი რამ ნათელია, "ბარსას" ფეხბურთელები მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული არიან. სამუს უკლებლივ ყველა მოთამაშე უჭერს მხარს."*

გუშინ "დიარიო მარკას" კორესპონდენტი **ლუის როხო** ეტოოს დაუკავშირდა და ინტერვიუ სთხოვა, მაგრამ ფეხბურთელისგან უარი მიიღო. "ბარსას" ფორვარდმა მხოლოდ ის თქვა, გვარდიოლას გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილი ვარ და შევეცდები, ჩემს გუნდს მაქსიმალურად დავეხმაროო.

ტრანსფერის მოლოდინში

# არშავინი გაიფიცა

## ფეხბურთელის აგენტები ზენიტს მონათმფლობელობაში ადანაშაულებენ



ანდრეი არშავინი

**ანდრეი არშავინმა** გაფიცვა გამოაცხადა. 27 წლის თავდამსხმელი "ზენიტის" უფროსობას ტრანსფერზე დაყენებას სთხოვს. არშავინის კატეგორიული მოთხოვნაა, პეტერბურგულმა კლუბმა მის სანაცვლოდ რეალური თანხა მოითხოვს. ცნობილია, რომ ფეხბურთელის შეძენა "ტოტენჰემს" სურს. ლონდონელები მზად არიან, "ზენიტს" 20 მილიონი გირვანქა მიუთვალონ, მაგრამ რუსები 7 მილიონით მეტს ითხოვენ. მათ ამბიციებს მოლაპარაკებები ჩიხში შეჰყავს. არშავინის აგენტი **დენის ლახტერი** ამბობს, რომ "ზენიტის" ხელმძღვანელთა სიჯიუტითა და არაკონსტრუქციულობით გაკვირვებულია:

*"მათ ფეხბურთელის სურვილი და ინტერესები ფეხებზე ჰკიდიათ. ეს დიქტატურაა. არშავინი მონა ჰგონიათ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ფეხბურთელს საკუთარი უფლებები გააჩნია. ჩვენ ამ უფლებების დასაცავად ბოლომდე ვიბრძოლებთ".*

ფიორენტინა

# მუტუ: მიხარია, რომ დავრჩი

**ადრიან მუტუ** "ფიორენტინასთან" გაფორმებული ახალი კონტრაქტით კმაყოფილია. შეგახსენებთ, რუმინელი თავდამსხმელი "რომაში" გადასვლას აპირებდა. იტალიურმა სააგენტოებმა გარიგება დასრულებულად გამოაცხადეს, მაგრამ ის ბოლო წუთს ჩაიშალა. მუტუ ფლორენციაში დარჩა და, როგორც ჩანს, ამას არც ნანობს. ადრიანი "ფიორენტინას" ღირსებას 2012 წლამდე დაიცავს. აი, რა განუცხადა ფეხბურთელმა "ლა რეპუბლიკას":

*"მიხარია, რომ დავრჩი. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მინდოდა. ყველასთვის ცნობილია, რომ "რომასა" და "ფიორენტინას" შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. თუმცა მთავარი ისაა, რომ "ფიორენტინას" ხელმძღვანელობასთან ყველა უთანხმოება მოვაგვარე და ზუსტად ისეთი კონტრაქტი გავაფორმე, როგორიც მსურდა. ფლორენციაში ამბიციური გუნდი კეთდება. ვამაყობ, რომ მეც ამ პროექტის ნაწილი ვარ".*

"ფიორენტინას" ახალი კონტრაქტის დეტალები არ გაუხმაურებია. ჟურნალისტები სპეკულირებენ, რომ ფეხბურთელის წლიური ანაზღაურება 180 ათასი ევროთი გაიზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# რთული არჩევანი



ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი შემტევი განცხადებით გამოვიდა და "ბარსელონას" ლეო მესის ოლიმპიადაზე გაშვება უბრძანა. რაც მოჰყვა ამ ამბავს, კარგად იცით: "ბარსა" არ შეეგუა დიქტატს და სასამართლოში იჩივლა. იჩივლა და მოიგო კიდეც პროცესი...

მაგრამ აქ ამ კონკრეტულ შემთხვევაზე არ ვილაპარაკებთ. პრობლემა გლობალურია. ამგვარი წინააღმდეგობები სპორტის ბუნებაში იმთავითვე ჩადებულია. ადრე, სპორტის მთავარი დანიშნულება უძლიერესის გამოვლენა იყო, თუმც სამყაროს განვითარებამ ის სხვა რელსებზე გადაიყვანა და დღეს უკვე კომერციულ პროდუქტს წარმოადგენს. ფეხბურთში ორი სხვადასხვა სიბრტყეა - კლუბი და ნაკრები. სწორედ ახლა ხდება მათ შორის სტატუს-კვოს შეცვლა. პრიორიტეტი აშკარად კლუბების მხარეს გადადის. ამ პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელია. ფეხბურთის საყოველთაო კომერციალიზაცია ეროვნული ნაკრების როლს მომავალშიც დააკნინებს. საინტერესოა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ფიფა, რომელიც დღესდღეობით საერთაშორისო ფეხბურთის რეგულატორის ფუნქციას ასრულებს? ყველა უნდა შეეგუოს იმას, რომ ფეხბურთის შიდა ურთიერთობათა ახალ კანონებს, მომავალში, კლუბები დაწერენ, თუ უკვე არ წერენ...

აქ ბანალური ლოგიკაა. ერთი მხრივ, კლუბები თავიდანვე მკაცრ პირობებში არიან. ნაკრებებისგან განსხვავებით, ისინი სახელმწიფოსგან არ ფინანსდებიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოს, ბელარუსს, რუსეთსა და პოსტსაბჭოთა აზიის ოდიოზურ ქვეყნებს. კლუბები ფულს თავად შოულობენ. აქ უკვე ბიზნესის სამყაროში შევდივართ, ხოლო ამ სამყაროს თავისი კანონები აქვს. ელემენტარულად, კერძო მესაკუთრეობა თითქმის ყველგან და ყოველთვის, სახელმწიფო მესაკუთრეობაზე უფრო ეფექტური მოდელია. თანამედროვე სპორტულ ინდუსტრიას ხომ სწორედ კლუბები ქმნიან. ეს ასეა და მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების კომერციული წარმატებები ვითარებას არსებითად ვერ ცვლის. ევროპის ბოლო ჩემპიონატმა, მოგების სახით, კოლოსალური თანხა, 1.4 მილიარდი ევრო მოიტანა. მაგრამ კონტინენტის მომდევნო პირველობამდე, 4 წლის განმავლობაში, მარტო "რეალისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" მოგება გაცილებით მეტი იქნება. დღესდღეობით, სანაკრებო ტურნირები მთლიანი სპორტული ბაზრის მხოლოდ 5-8 პროცენტს იკავებს. ბუნებრივია, ყველა ქვეყანაში გაცილებით მეტი კლუბია, ვიდრე ნაკრები. შევადაროთ: იქით 50-70 მატჩი სეზონში, აქეთ - სულ რაღაც 7-12. საბოლოო ჯამში, კლუბების იმიჯიც უფრო მომხიბლავია. ბუნებრივია, შემოსავლებზე ეს ფაქტიც პოზიტიურად მოქმედებს. ზუსტად ვერავინ დათვლის, მაგრამ ხომ ისედაც ცხადია, რომ "რეალს" მსოფლიოში ათეულობით მილიონი გულშემატკივარი ჰყავს. და იქნება, ვინმემ მიახლოებით მაინც გვითხრას, რამდენი ქომაგი ჰყავს დედამიწაზე ესპანეთის ნაკრებს?

ეროვნულ გუნდებში სულ უფრო იზრდება შეზღუდვები. მათ კლუბებიდან მოთამაშეების მიღება განსაზღვრული დროით აქვთ გარანტირებული: მხოლოდ 7-ჯერ სეზონში. სხვა შემთხვევებში, ნაციონალური ასოციაციები კლუბებს უნდა მოელაპარაკონ. მთლად უცნაური ფაქტი: ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებები, ვიდრე ევროპაში გახურებული სეზონია, საშინაო მატჩებს ვეღარ ატარებენ. ამხანაგურ თამაშებს ისინი ძველ კონტინენტზე მართავენ და ამით, მოთამაშეებს ხანგრძლივ ფრენებს არიდებენ თავიდან. მაგრამ ყველაფერი ამ შეზღუდვებით არ მთავრდება. კლუბები სხვა ინიციატივებითაც გამოდიან. მაგალითად, **არსენ ვენგერის** იდეაა, რომ გაუქმდეს(!) ამხანაგური მატჩები... თუმც ეს მხოლოდ ერთეულთა აზრია და მადლობა ღმერთს, ეს ინიციატივა თავად საკლუბო წრეებშიც კი აქტიურად არ განიხილება.

ამგვარ სიტუაციებში ფეხბურთელები (ან ზოგადად, სპორტსმენები) რთული არჩევანის წინაშე დგებიან. ერთი მხრივ, არის ფული, რომელსაც მათ კლუბები უხდიან, მათ შორის, თვეობით მკურნალობაშიც, ხოლო მეორე მხარესაა სამშობლო, პატრიოტიზმის გრძნობა, რაც იმავე **ლეო მესისთვის**, რომლის გარშემოც ამხელა ამბავი ატყდა, ნამდვილად არ არის უცხო. თუმც ვერც იმას ვიტყვით, რომ ფეხბურთელები თავიანთი კლუბების მიმართ არიან გულგრილნი და ამის უამრავი მაგალითიც ვიცით. კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, დიდ ფეხბურთელებს სანაკრებო კარიერა ნაადრევად დაუსრულებიათ...

მესის შემთხვევა საინტერესოა არა მხოლოდ პრობლემის მასშტაბურობით, არამედ ეთიკის თვალსაზრისითაც. მოდი, გულახდილად ვთქვათ, რომ ამგვარ სიტუაციებში საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის ნაკრების მხარესაა. მაგრამ ამ კონფლიქტს ნამდვილად არ მოუხდება ამგვარი ტრივიალური რეზიუმე - სპორტსმენებს სამშობლო ზრდის, კლუბები კი მათ ექსპლუატაციას ეწევიან. ვინც იტყვის, რომ "ბარსელონამ" მესის იმაზე ნაკლები დაახარჯა (რა თქმა უნდა, აქ მართლაც დიდ თანხებზეა ლაპარაკი), რამდენიც მშობლიურმა არგენტინამ, მინიმუმ უმადურობის კლასიკური ნიმუში იქნება. უკვე 13 წლის ასაკიდან, "ბარსამ" ის საკუთარ აკადემიაში აღზარდა და თან, მეტად იშვიათი და რთული ჰორმონული დაავადებისგანაც განკურნა...

რა თქმა უნდა, ნაკრების ინსტიტუტი არ გაქრება, თუნდაც იმავე კომერციული მოტივებიდან გამომდინარე. არ არსებობს მცირეოდენი მიზეზიც კი ისეთი სერიოზული ბიზნესის დახურვისთვის, როგორიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებია. მაგრამ დაპირისპირება მაინც გაგრძელდება, თუმც შეიძლება - ნაკლებად მწვავე ფორმით. აქა-იქ უკვე საუბრობენ ნაკრებებსა და კლუბებს შორის შემოსავლების რალაცნაირად გაყოფაზე, რაც, ასე თუ ისე, ორივე მხარეს დააკმაყოფილებს, თუნდაც პირველ ეტაპზე. რაც შეეხება სანაკრებო ტურნირებს, საბოლოო ჯამში სპორტული იერარქია მას იმ ადგილს მიუჩენს, რასაც ბაზარი მოითხოვს.

დაბოლოს: ვიდრე საქართველოში საკლუბო ფეხბურთი არქაულ დონეზეა (მხოლოდ სპორტულ ასპექტს არ ვგულისხმობ), თუნდაც წარუმატებელი ეროვნული ნაკრები, ჯერჯერობით, ერთადერთი სუბიექტია, რაც ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთს ასე თუ ისე ასულდგმულებს.

**პაატა გელაშვილი**



დაპირისპირება გრძელდება

# ან მესი, ან ფული

"ბარსელონისა" და არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის დაპირისპირება, წესით, მალე უნდა დასრულდეს. როგორც მოგახსენეთ, სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა კატალონიური გრანდი გაამართლა და სამხრეთამერიკელებს **ლეო მესის** გათავისუფლება დაავალა. მიუხედავად ამისა, არგენტინელებმა ფეხბურთელის გაშვებაზე უარი განაცხადეს. ერთი შეხედვით, სიტუაცია ჩიხში შევიდა, მაგრამ კატალონიელებმა საკმაოდ საინტერესო გამოსავალი მონახეს. "ბარსელონა" მზადაა, ლეოს ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლება მისცეს, თუმცა, სანაცვლოდ, საკომპენსაციო თანხას ითხოვს. ამ თანხის მოცულობა არ კონკრეტდება, მაგრამ "ბარსასთან" დაახლოებული პირები აცხადებენ, რომ არგენტინის საფეხბურთო ასოციაციას საკმაოდ დიდი ფულის გადახდა მოუწევს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, სენიორ **ბეგირისტაინის** განცხადებას გაგაცნობთ: *"ჩვენ ძალიან ბევრ დათმობაზე წავედით და ახლაც კომპრომისულ ვარიანტს ვეძებთ. ძალიან გვინდოდა, მესი ახალი სეზონისთვის კლუბთან ერთად მომზადებულიყო, მაგრამ ამის საშუალება არ მოგვცეს. რადგან ახლა ის ჩინეთშია, არგენტინელებს პრობლემებს არ შევუქმნით. იმ შემთხვევაში, თუ საკომპენსაციო თანხას გადაგვიხდიან, ლეოს უკან დაბრუნებას არ მოვითხოვთ. ეს ერთადერთი გამოსავალია. გარდა ამისა, სამხრეთამერიკელებმა ჩვენი ფეხბურთელი უნდა დააზღვიონ. იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიადაზე მესი ტრავმას მიიღებს, კიდევ უფრო დიდი თანხა უნდა გადაგვიხადონ, რადგან ლეოს ავადმყოფობა ყოველთვის ძალიან ძვირად გვიჯდება. ფეხბურთი კომერციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ამიტომ ვარსკვლავების თამაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ოკეანისგაღმელი კოლეგების პასუხს უახლოეს დღეებში ველით. იმედია, ამ საინტერესო წინადადებას დადებითად გამოეხმაურებიან და კონტაქტზე გამოვლენ."*

ბეგირისტაინის ინიციატივას არგენტინელები სიხარულით შეხვდნენ. ისინი მზად არიან, კატალონიელთა მიერ დასახელებული თანხა გადაიხადონ. სამწუხაროდ, ამ თანხის მოცულობას ისინიც არ ასახელებენ. როგორც ჩანს, ესპანურ მხარეს ამ თემის გახმაურება არ სურს.

გუშინ, ლეო მესიმ ბუენოსაირესულ "კლარინს" მოკლე ინტერვიუ მისცა. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი ოლიმპიური თამაშების მნიშვნელობასა და არგენტინის ნაკრების მიზნებზე საუბრობდა. ლეოს თქმით, ოლიმპიადა ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაა და მასში მონაწილეობა ღირსების საქმეა. მან იქვე დაამატა, - მე არგენტინელი ვარ და ძალიან მინდა, ჩემს გუნდთან ერთად ოქროს მედალს დავეუფლოო. სამხრეთამერიკელს მის მიერ დადებული პირობის შესახებ გაკვრითაც არაფერი უთქვამს. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ლიონელმა ყველას გასაგონად განაცხადა, თუ სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალი "ბარსელონას" გაამართლებს, კლუბში დავბრუნდებიო. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მოთამაშე ტრიბუნალის ასეთ გადაწყვეტილებას არ ელოდა.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **პეკინი 2008** | |
| **კაცები** | |
| ბრაზილია-ბელგია | 1:0 |
| იტალია-ჰონდურასი | 3:0 |
| იაპონია-აშშ | 0:1 |
| სერბეთი-ავსტრალია | 1:1 |
| არგენტინა-კოტ დ'ივუარი | 2:1 |
| ჩინეთი-ახ. ზელანდია | 1:1 |
| ჰოლანდია-ნიგერია | 0:0 |
| კორეა-კამერუნი | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბოლივია-გვატემალა | 0:3 |
| ანკარა-ვიტესი | 2:1 |
| არისი-ბრიუგე | 4:0 |
| პალერმო-ლარისა | 1:0 |
| ათლონი-სანდერლენდი | 0:6 |
| აკადემიკა-ესპანიოლი | 1:1 |
| რეკრეატივო-ბილბაო | 2:1 |
| **გერმანიის თასი** | |
| ნიდერაუერბახი-კიოლნი | 1:5 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტარტი-ჰიონეფოსი | 3:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ატვიდაბერგი-ბუნკეფლო | 2:0 |
| **შვედეთის თასი** | |
| ელფსბორგი-კალმარი | 2:4 |
| **ფინეთის თასი** | |
| ჰაკა-ტპ47 | 3:0 |
| ჰიკ-ვარკაუსი | 2:0 |
| ვაასა-მიუპა | 1:0 |
| **ისლანდია** | |
| ფიოლნირი-გრინდავიკი | 0:1 |
| ვალური-ფილკირი | 2:0 |
| **ბრაზილია** | |
| გრემიო-იპატინგა | 1:0 |
| ვასკო-კურიტიბა | 0:2 |
| ატ. პარანაენსე-ნაუტიკო | 2:0 |
| სპორტ რესიფე-პორტუგეზა | 2:0 |
| სანტოსი-ატ. მინეირო | 2:3 |
| გოიაში-ფლამენგო | 2:1 |
| ფლუმინენსე-სან პაულუ | 3:1 |
| **მექსიკა** | |
| სან ლუისი-კრუს ასული | 2:1 |
| **პერუ** | |
| სტ. კრისტალი-მელგარი | 4:1 |

## TV სპორტი

**8 აგვისტო. პარასკევი**

**I არხი**

16:00 პეკინი 2008. გახსნის ცერემონია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ზუსტი გათვლა.
16:30 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
18:20 სასტვენი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:05 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-მანჩესტერ იუნ.
21:00 FUTBOL MUNDIAL - საფეხბურთო ჟურნალი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:45 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ბაიერნი.
09:25 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
09:55 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. არგენტინოს ხუნიორსი-სან ლორენსო.
11:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ცინცინატი. აშშ.
15:45 პეკინი 2008. გახსნის ცერემონია (LIVE).
19:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ვოლფსბურგი.
21:20 სპორტკლუბი.
21:45 კრივი. რინგ-საიდი.
22:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. დინამო (კიევი)-დროგედა.
23:05 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. პიტსბურგი-დეტროიტი.
01:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
01:25 მძლეოსნობა.
02:20 პეკინი 2008. ცხენოსნობა (LIVE).
06:35 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.

**EUROSPORT**

10:30 პეკინი 2008.
11:00 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ბრაზილია-ბელგია.
12:00 პეკინი 2008. ფეხბურთი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. მიმოხილვა.
13:15 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. მიმოხილვა.
14:30 ოლიმპიური ვარსკვლავები.
16:00 პეკინი 2008. გახსნის ცერემონია (LIVE).
19:30 მისია - პეკინი (LIVE).
19:45 ოლიმპიური ვარსკვლავები.
21:15 პეკინი 2008. გახსნის ცერემონია.
00:30 მისია - პეკინი.
00:45 ოლიმპიური ვარსკვლავები.
02:15 მულტისპორტი.
02:30 პეკინი 2008. გახსნის ცერემონია.

**EUROSPORT-2**

11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური.
12:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". კაცები. ფინალი. ჩინეთი.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
14:00 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
15:00 ახალი ამბები.
16:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი. დანია.
17:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". ქალები. ფინალი. ჩინეთი.
18:00 ნარდი. მსოფლიო სერია. დანიის ღია პირველობა.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 სერფინგი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
22:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XIX ტური.
22:45 ჰიპ-ჰოპი. კორეა.
01:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
01:30 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაჟის ფრენბურთი

# ქვიშის საიდუმლოებანი

ალიარეთ, რომ ძალიან მოგწონთ სპორტის ეს სახეობა. ყოველთვის უყურებთ ტელევიზორში, განსაკუთრებით ქალების შეჯიბრებას. ახლაც, დარწმუნებული ვართ, სიამოვნებით ათვალიერებთ ამ ფოტოებს:) თუმცა თქვენი მზერა არა თითებზე, არამედ სხვა რამეზეა მიმართული. არადა, ყველა ის ჟესტი, რომელსაც ფრენბურთელები მოწოდების წინ ანიშნებენ ერთმანეთს, რაღაცას ნიშნავს. აი, რამდენიმე მათგანის განმარტება. იმედია, დანარჩენს თქვენითაც მიხვდებით.









მეტოქის მოთამაშე, რომელიც მარცხნივ დგას, ბლოკირებული იქნება პირდაპირი დარტყმის დროს, მარჯვენა მოთამაშე - დიაგონალური დარტყმისას. შესაბამისად, მარცხნიდან შეტევისას პარტნიორმა უნდა დააზღვიოს დიაგონალური დარტყმა, მარჯვნიდან - პირდაპირი.



ნებისმიერ შემთხვევაში ბლოკი გადაკეტავს დიაგონალურ დარტყმას.




მარჯვნიდან შეტევის შემთხვევაში, ბლოკი პირდაპირი დარტყმის გადაკეტვას შეეცდება. თუ შეტევა მარცხნიდან წამოვა, ბლოკის შემსრულებელი სიტუაციის მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებას (გაშლილი ხელი).








მეტოქის მოთამაშე, რომელიც მარცხნივ დგას, ბლოკირებული იქნება დიაგონალური დარტყმის დროს, მარჯვენა მოთამაშე - პირდაპირი დარტყმისას. შესაბამისად, მარცხნიდან შეტევისას პარტნიორმა უნდა დააზღვიოს პირდაპირი დარტყმა, მარჯვნიდან - დიაგონალური დარტყმა.



ნებისმიერ შემთხვევაში ბლოკი გადაკეტავს ხაზის პირდაპირ დარტყმას.






